ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 25 (1454), პარასკევი, 18 ივნისი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

„ლენინიანა" გრამფირფიტაზე

გრამფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდია" უშვებს სპეციალურ ალბომს — „ვ. ი. ლენინის ცხოვრების ფურცლები". ალბომში შევიდა ვლადიმერ ილიას ძის ახლობელთა, მეგობართა და თანამებრძოლთა მოგონებები, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფრაგმენტები, დიდი ბელადისადმი მიძღვნილ ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშები.

ალბომი შედგება ორი დიდი გრამფირფიტისაგან, რომლებშიც შესულია ნ. კ. კრუპსკაიას, ე. მ. იაროსლავსკის, ე. დ. სტასოვას, ფ. ი. კონის, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის, ე. ა. კარპინსკის მოგონებები, მ. ი. კალინინის, გ. მ. კრჟიჟანოვსკის და გ. კ. ორჯონიკიძის გამოსვლები.

ალბომში შესულია ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი კინოფილმების ფონოგრამა, აქ წარმოდგენილია აგრეთვე ფრაგმენტები შოსტაკოვიჩის მე-11 და მე-12 სიმფონიებისა, ბეთჰოვენის „აპასიონატა", პ. ჩაიკოვსკის პათეტიკური სიმფონია, რომელსაც ე. მრავინსკის ხელმძღვანელობით ასრულებს ლენინგრადის ფილარმონიის ორკესტრი. ალბომში შესულია ვ. ი. ლენინის საყვარელი რევოლუციური სიმღერები.

გრამფირფიტებზე ჩაწერილია ლიტერატურისა და ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც ლენინის სახეს წარმოგვისახავენ. ეს არის შებალინის დრამატული სიმფონია „ლენინი", მოსკოვის აკადემიური სამხატვრო თეატრის სპექტაკლის — „კრემლის კურანტების" სცენები, ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვ. ი. ლენინი", რომელსაც კითხულობს მ. ასტანგოვი. აქვეა სიმღერები ლენინზე, სამშობლოსა და პარტიაზე, რომლებსაც ცნობილი მსახიობები და მუსიკალური კოლექტივები ასრულებენ.

გლინკას სახელობის კონკურსზე

თორმეტ ივნისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დაიწყო მ. ი. გლინკას სახელობის ვოკალისტთა საკავშირო კონკურსი. ტალანტთა ამ მეგობრულ შეჯიბრებაში ასზე მეტი ახალგაზრდა შემსრულებელი მიიღებს მონაწილეობას. მიმდინარე წლის კონკურსი განსაკუთრებით დაძაბული იქნება. ეს არის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის წინა ეტაპი. ამჯერად ჩაიკოვსკის კონკურსში მონაწილეობას მომღერლებიც მიიღებენ. კონკურსი 3 ტურად ეწყობა. 1-ლი ტური კომპოზიტორთა საკავშირო სახლის საკონცერტო დარბაზში ტარდება. კონკურსის რეპერტუარში შეტანილია როგორც საბჭოთა, ისე რუსული და დასავლეთევროპული საოპერო კლასიკა, პირველ რიგში კი მ. გლინკას ნაწარმოებები.

ჟიურის შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი მომღერლები მ. რეიზენი (თავმჯდომარე), ვ. ბარსოვა, გ. გასპარიანი, გ. ვიშნევსკაია, ნ. ხანაევი და სხვები. ჟიურის წევრები არიან აგრეთვე საუკეთესო კონცერტმაისტერები. კონკურსის დასკვნითი კონცერტი გაიმართება 28 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნა

ილია ჭავჭავაძის პროსპექტი... მის შუაგულში აღმართულა დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ქანდაკება... ჯერ მას თეთრი საფარველი აქვს შემოკრული. უამრავი ხალხი შეკრებილა აქ, რათა იხილონ ქვისგან გამოკვეთილი საყვარელი პოეტის სახე. დღის ორი საათია. ტრიბუნაზე ადის პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს იგი გახსნილად აცხადებს და თავის მოკლე სიტყვაში ახასიათებს დ. გურამიშვილის დიდ ღვაწლს ქართული პოეტური სიტყვის განვითარების საქმეში.

ძეგლთან მიდიან ქართული კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწენი. ზონარი ჩამოხსნეს და გამოჩნდა დიდი პოეტის ფიგურა, რომელიც კომპოზიციურად კარგად გაუაზრებია მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს. პოეტს ხელში უჭირავს უკვდავი „დავითიანი".

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე და აკადემიკოსი ალ. ბარამიძე, გურამიშვილის მშობლიური სოფლის — საგურამოს წარმომადგენელი პედაგოგი შ. მარკოზაშვილი, უკრაინელი სტუდენტი გოგონა დ. ლუცენკო და მოქანდაკე ვ. თოფურიძე.

კიდევ ერთი დიდი შემოქმედის ძეგლით დამშვენდა ჩვენი დედაქალაქი.

• • •

სურათზე: დავით გურამიშვილის ძეგლი თბილისში.

ფოტო ვ. გენგიურისა.

ქართული კერამიკა ჟენევაში

ჟენევის მუზეუმში — „არიანა" 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე მოეწყობა კერამიკის საერთაშორისო გამოფენა.

ჟენევაში გასაგზავნად მოსკოვში წარმოდგენილი იყო 500 ნაწარმოები, აქედან ჟიურიმ 15 შეარჩია. ჟენევაში გაიგზავნა მოსკოველ, ლენინგრადელ, ტალინელ, რიგელ, ვილნიუსელ, კიეველ, ერევნელ და თბილისელ კერამიკოსთა ნამუშევრები. გამოფენაზე მონაწილეობას იღებენ თვალსაჩინო საბჭოთა კერამიკოსები. ქართული კერამიკა ჟენევაში წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა კერამიკოსის ა. კაკაბაძის ნამუშევრებით.

ქუთაისის თეატრი თბილისში

15 **ივნისს** კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში დაიწყო ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

სპექტაკლის დაწყებამდე სტუმრებს დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მიესალმა და წარმატებები უსურვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა აკაკი ქვანტალიანმა. თეატრის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ დამსწრეთ გულითადი მადლობა გადაუხადა.

15 ივნისს თეატრმა მაყურებელს უჩვენა პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჭარა". სპექტაკლი დადგა აკ. ვასაძემ, მხატვრულად გააფორმა დ. თავაძემ.

16 ივნისს წარმოდგენილი იქნა უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე". სპექტაკლის დამდგმელია აკ. ვასაძე, მანვე შეასრულა რიჩარდის როლი.

გუშინ თეატრმა მაყურებელს უჩვენა ო. დგებუაძისა და ა. აბშილავას სათავგადასავლო დრამა „განთიადის დედოფალი".

ქუთაისის თეატრის სპექტაკლებს მაყურებელი გულთბილად ხვდება.

კარგი დასაწყისი

რამდენიმე თვე გავიდა, რაც სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობასთან შეიქმნა მოძმე ლიტერატურათა საზოგადოებრივი საბჭოები. ამ დღეებში, შედგა საბჭოების ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა საბჭოების მუშაობის პირველი შედეგები და მომავალი მუშაობის გეგმები.

მომავალი მუშაობის პროგრამა ახალი წინადადებებით შეავსეს სხდომის მონაწილეებმა.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა მოძმე ლიტერატურათა საბჭოების ბიუროს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. მარკოვმა.

გვიდგა მხოლოდ პირველი თვეები საზოგადოებრივი საბჭოების მუშაობისა, — თქვა მან, — მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას: ცოცხალი სათავე დაედო ძმურ ლიტერატურათა დაახლოების, მათი შემოქმედებითი ურთიერთობის გაფართოების საქმეს. საზოგადოებრივი საბჭოები გამოვიდნენ ბევრი სასარგებლო წამოწყების ინიციატორებად. ამ ღონისძიებას ლიტერატურულ პრესაში ფართო გაშუქება, საზოგადოებრივი აზრის ყურადღება და მხარდაჭერა ესაჭიროება.

საპატიო წოდების მინიჭება

თეატრალური კრიტიკის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 12 ივნისის ბრძანებულებით, **ბესარიონ დავით-ძე ჟღენტს** მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

დაჯილდოება

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 12 ივნისის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **გიორგი ნიკოლოზის ძე დარისპანაშვილი** დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

დეპეშა პარიზიდან

საქართველოს მწერალთა კავშირს

ბედნიერი ვარ გაცნობოთ, რომ საფრანგეთის აკადემიამ დოქტორ წულაძეს მიანიჭა ლანგლუას პრემია, შ. რუსთაველის ქართული ეროვნული ეპოპეის „ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი თარგმანისათვის.

მიიღეთ საუკეთესო, ძმური სურვილები.

მორის ჟენევუა,
მუდმივი მდივანი.

ა. პიპინაძე — რსფსრ დამსახურებული არტისტი

ამ დღეებში რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა კ. ს. სტანისლავსკისა და ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის აკადემიური მუსიკალური თეატრის მსახიობსა და ბალეტმაისტერს ალექსი ბესარიონის-ძე პიპინაძეს.

მრავალი წელია, რაც ა. პიპინაძე თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სოლისტია. იგი მთავარ პარტიებს ასრულებს „გედის ტბაში", „ესმერალდაში", „კარნავალში" და სხვ. მან სახელი გაითქვა აგრეთვე როგორც დამდგმელმა.

ჩვენი მუსიკის გაზაფხული

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი კომპოზიტორთა თავისებური შემოქმედებითი ანგარიშია „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე" და ჭეშმარიტი დღესასწაული მოძმე ხალხთა ხელოვნებისა.

ქართულმა საბჭოთა მუსიკამ განვითარების საინტერესო გზა განვლო, ამ გზაზე მას ტრადიციისა და ნოვატორობის მნიშვნელოვანი პრობლემის დაყენება და გადაჭრა მოუხდა.

განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა წამოიჭრა მუსიკალური ხელოვნების ყველაზე დემოკრატიული ჟანრის, საოპერო ჟანრის ჩამოყალიბების პროცესში.

სცენაზე თანამედროვეობის ასახვა მოითხოვდა მრავალ სიახლეს — ჩანაფიქრისა და ფორმის, მუსიკალური ენისა და ხერხების სიახლეს. განვლილი ორმოცი წლის მანძილზე ჩვენში მრავალი ოპერა შეიქმნა, რომელთაგან ბევრი აშკარა მხატვრული ღირსებებით გამოირჩეოდა. ამ ჟანრში განსაკუთრებით დიდი ძვრები შეინიშნება უკანასკნელ წლებში, თუმცა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება კლასიკური დონის თანამედროვე საბჭოთა ოპერის შექმნის პრობლემა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორმა ქართულმა ოპერამ — შალვა მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენამ" და ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიამ" ეროვნული საოპერო ხელოვნება მაღალ მხატვრულ დონეზე დააყენა. რაც მთავარია, მათ ფართო მსმენელის სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს.

ორივე ოპერას „გაზაფხულის" მრავალი სტუმარი გაეცნო. დიდი მუსიკალური დღესასწაული შ. მშველიძის „დიდოსტატით" დაიწყო.

შალვა მშველიძის და ანდრია ბალანჩივაძის სახელები დიდად ძვირფასია ქართული მუსიკისათვის. მათ ახალგაზრდა საბჭოთა მუსიკალურ კულტურას ახალი გზები დაუსახეს. მათი პირველი გამოჩენის შემდეგ შემოქმედებით ასპარეზზე ქართული მუსიკა შორს წავიდა. ის კიდევ უფრო შორს წავა, მაგრამ ის პრინციპები, რომლებიც ეპოქის დიდი მხატვრული ძალით დაამკვიდრეს ეროვნულ მუსიკაში შ. მშველიძემ და ა. ბალანჩივაძემ, ურყევი დარჩება. მათ მტკიცე ხიდი გადეს ეროვნულ კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას შორის, თამამად დააყენეს და გადაჭრეს ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა.

შ. მშველიძე და ა. ბალანჩივაძე გვასწავლიან, თუ რაოდენი სიფაქიზით უნდა მოვეკიდოთ წარსულის მემკვიდრეობას, რომ არასოდეს არ უნდა გაგვიტაცოს ცრუნოვატორობამ და მუდამ შეუპოვრად ვიცავდეთ ხელოვნების ჰუმანიზმის, რეალისტურობის პრინციპებს.

შ. მშველიძის შემოქმედებითი სტილის საუკეთესო თვისებები განსაკუთრებული მხატვრული განზოგადებით გამოვლინდა მის „დიდოსტატის მარჯვენაში", რომლის შექმნის იდეაც დიდი ხნის განმავლობაში იტაცებდა კომპოზიტორს.

„დიდოსტატი" აგრძელებს მონუმენტური მუსიკალური დრამის „აბესალომ და ეთერის" ბრწყინვალე ტრადიციებს. ამ ოპერაში მთელი სიდიადით წარმოგვიდგება ხალხი, რომელიც გამოძერწილ პლასტიკურ საგუნდო ეპიზოდებშია ასახული. ამ ეპიზოდებში კომპოზიტორი გადმოგვცემს ქართული სიმღერის მრავალფეროვნებას, თავისებურ პოლიფონიას. მშველიძე ფართოდ მიმართავს ქართული ფოლკლორის მუსიკალურ, წმინდა სალაპარაკო ინტონაციებს, რითაც ის განსაკუთრებით ენათესავება მუსორგსკის ტრადიციებს.

„დიდოსტატის მარჯვენა" ძლიერი ადამიანურ ვნებათა დრამაა, რომლის თვითეული პერსონაჟი ცოცხალი, ქმედითი, შინაგანი ექსპრესიით აღსავსე მხატვრული სახეა.

დაახლოებით იმავე პერიოდში შეიქმნა ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია". მისი სცენური ბედი დაბადებიდანვე გადაწყდა. ოპერა მოეწონა ჩვენს მსმენელს. შემდეგ იგი დიდი წარმატებით შესრულდა მოსკოვსა და ლენინგრადში.

„გაზაფხულის" მონაწილეებმა „მინდიას" ახალი დადგმა ნახეს. „მინდია" იმ მცირერიცხოვან ქართულ საბჭოთა ოპერებს ეკუთვნის, რომლებმაც თავიდანვე მსმენელთა აღიარება მოიპოვა. თანამედროვე საოპერო ლიტერატურაში ბევრი როდია ისეთი ვოკალური ნაწყვეტები, რომლებიც ჩალხიას ბალადასავით, ან მინდიას შესანიშნავ საფინალო არიასავით მსმენელს დიდად უყვარდეს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამოუკიდებელ საკონცერტო ცხოვრებას ეწეოდეს.

„მინდია" დაწერილია ტრადიციული კლასიკური ოპერის სტილით, სადაც დასრულებული ეპიზოდები — სცენები და ვოკალური ნომრები ერთმანეთს სცვლის, მაგრამ ტრადიციულობა სრულიადაც არ ნიშნავს ძველი ფორმებისადმი ბრმა მორჩილებას. „მინდია" დიდი ემოციური ძალის ნაწარმოებია, მასში ვოკალი მდიდრად ხატოვანია, გუნდისა და ადამიანის ხმის სისადავითა და გამომსახველობით მუსიკის ემოციური [illegible], შინაგანი ექსპრესიით.

საბჭოთა ეპოქაში დაბადებულმა ქართულმა საბალეტო ჟანრმა ჭეშმარიტ გაფურჩქნას მიაღწია. საბალეტო ჟანრის შექმნა-ჩამოყალიბება ჩვენში განუყრელად არის დაკავშირებული ვახტანგ ჭაბუკიანის ბრწყინვალე ოსტატობასთან. სწორედ ჭაბუკიანის დადგმით გამოჩნდა სცენაზე ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო ქართული ბალეტი ანდრია ბალანჩივაძის „მთების გული", რომელიც გრძნობათა დიდი რომანტიკულობით არის აღბეჭდილი. ამ ბალეტმა ისტორიული როლი შეასრულა ეროვნული ბალეტის განვითარებაში. ა. ბალანჩივაძემ ქართველ კომპოზიტორთა შორის პირველმა განაზოგადა და დიდი სიმფონიური სუნთქვით აღბეჭდა ქართულ საბალეტო მუსიკაში ხალხური მუსიკის თავისებურება და ამ თავისებურებებთან ორგანულად დააკავშირა რუსული კლასიკური ბალეტის დიდი ტრადიციები.

ფესტივალზე ა. ბალანჩივაძე ახალი ბალეტით, „მწირით" წარსდგა.

ქართული მუსიკის თანამედროვე ეტაპზე ძიება ერთნაირად დამახასიათებელია ყველასათვის, სულ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ეს-ეს არის დაადგნენ შემოქმედებით გზას, და მხცოვანი კომპოზიტორებისათვის.

ბალეტი „მწირი" აღბეჭდილია სწორედ ასეთი ძიებებით, — ხერხების, მუსიკალური ენის, გამომსახველი ნიშანთვისებების ხასიათით, მუსიკალურ-დრამატული მთლიანობით, ჟანრის სიმფონიზირებით.

ახალი ბალეტისათვის დამახასიათებელია კომპოზიტორის შინაგანი ჩანაფიქრით ნაკარნახევი თავისებური სტრუქტურა, — მთელი ბალეტი მთავარი გმირის მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური პორტრეტია, რომლის გარშემო თავს იყრიან დანარჩენი მოქმედი პირნი და კიდევ უფრო აღრმავებენ, ამდიდრებენ მთავარი პერსონაჟის ხასიათს. „მწირი" პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ ბალეტი-პორტრეტი. მისი შვიდი სურათი შვიდი რგოლია გმირის სულიერი დრამისა. განსაკუთრებით ახალია „მწირი" მუსიკალური ენით, კომპოზიტორის თავისებური ჰარმონიული აზროვნებით.

ძიების გზაზე იდგა თავისი ბალეტის შექმნისას ბიძინა კვერნაძე. მისი „მხატვრის სახელოსნოში" ლადო გუდიაშვილის ტილოების მიხედვით შექმნილი ქორეოგრაფიული ნოველებია.

ფორმით თავისებურ ამ ბალეტ-სუიტის თვითეული ნოველა გაერთიანებულია მთლიანი თემატიური მასალით. ამგვარი ინტონაციური ერთიანობა ნოველებს დრამატურგიულად და ემოციურად კრავს.

საბჭოთა მუსიკის არც ერთი ჟანრი ისე სწრაფად არ ვითარდებოდა, როგორც ვითარდება სიმფონიური ჟანრი. უკანასკნელ წლებში სიმფონიური მუსიკისადმი მიდრეკილება გაძლიერდა. „გაზაფხულმა" მსმენელს გააცნო ს. ნასიძის მეორე სიმფონია და გ. ყანჩელის კონცერტი ორკესტრისათვის, რ. გაბიჩვაძის სიმფონიები და ვ. აზარაშვილის კონცერტინო, ი. გორდელის „პასაკალია".

სულხან ნასიძის მეორე სიმფონია ანვითარებს კომპოზიტორის შემოქმედებითი სტილის, კერძოდ მისი მეორე საფორტეპიანო კონცერტის თავისებურებებს. კომპოზიტორი არასდროს არ მიმართავს სუბიექტურ კონკრეტულობას, „პროგრამულობას", მაგრამ თავისი მუსიკით გვიმტკიცებს, რომ სიმფონიის მოქმედების დრო დღევანდელობაა, მისი მთავარი გმირი კი ჩვენი თანამედროვე, აქტიური, ქმედითი, შინაგანი ენერგიულობით აღსავსე ადამიანია. აქედან მომდინარეობს სიმფონიის დინამიურობა, წინსწრაფვა, მისი ფორმის კონკრეტულობა, ლაკონურობა. სიმფონიის მეორე მნიშვნელოვანი თვისება გახლავთ ხალხური მუსიკის თვითმყობადი აღქმა.

რევაზ გაბიჩვაძე ახლა მიდრეკილებას იჩენს მისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ინსტრუმენტული ჟანრისადმი. „გაზაფხულზე" მოსმენილ იქნა მისი სიმფონიური და კამერული ორკესტრებისათვის დაწერილი სიმფონიები.

სიმებიანი ჯგუფისათვის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის დაწერილი ხუთნაწილიანი სიმფონია კომპოზიტორის შემოქმედების ახალი საფეხურია. მასში შეიმჩნევა დრამატულად მძაფრი ტილოებისაკენ მიდრეკილება და მუსიკალური ენის [illegible]. კარგია, რომ კომპოზიტორს არ უღალატნია თავისი თავისათვის და მის სიმფონიებში სასიმღერო ინტონაციებთან აშკარა კავშირი იგრძნობა.

„გაზაფხულის" მონაწილენი მოწმენი გახდნენ სრულიად ახალი ნაწარმოების დაბადებისა. ეს გახლდათ ალექსანდრე შავერზაშვილის საფორტეპიანო კონცერტი. კონცერტის მუსიკა მომხიბვლელია ნაზი ლირიკულობით, ადამიანური სითბოთი და გამომსახველობით.

ნ. მამისაშვილის საუცხო საფორტეპიანო კონცერტი და კამერული ორკესტრისათვის დაწერილი მინიატურები გამოირჩევა ნათელი კოლორიტულობით, მრავალფეროვანი პალიტრით, ტემბრული მიგნებებით.

მრავალფეროვანი კამერული მუსიკა წარმოადგინეს კომპოზიტორებმა: ს. ცინცაძის, ნ. ვაწაძის, ტ. ბაქრაძის, მ. ფარცხალაძის, რ. ქარუმნიშვილის ნაწარმოებებით.

„გაზაფხულმა" თან კიდევ ერთი სიხარული მოიტანა — დაიბადა ახალი შემოქმედებითი კოლექტივი — ნონეტი — 9 მუსიკოსისაგან შემდგარი კამერული ანსამბლი.

დიდი ხანია ქართველ კომპოზიტორებს არ მიუმართავთ ორატორიის ჟანრისათვის. მით უფრო დაინტერესდნენ სტუმრები ოთარ თაქთაქიშვილის „სადიდებელი საგალობლებით" „რუსთაველის ნაკვალევზე", რომელიც შექმნილია ი. აბაშიძის ლექსებზე. ეს რვანაწილიანი ციკლია ბანის, გუნდის, ორღანისა და ორკესტრისათვის. სტილით, მუსიკალური ენით ის ახლოს დგას „მინდიასთან" და კომპოზიტორის ბოლო ვოკალურ ციკლებთან. თვით „საგალობლების" ჟანრმა განაპირობა ნაწარმოების ემოციური ტონუსი — ამაღლებული, დიადი. ციკლის თვითეულ ნაწილში — გადმოცემულია ფიქრები წარსულზე, დიდი პოეტის მიერ განვლილ გზაზე; ფიქრები ხან ლირიკულად გაღრმავებულია, ხან სევდიანი ან მგზნებარედ ამაღლებული, თემის თავისებურება გარკვეულ ხასიათს ანიჭებს მუსიკის განვითარებას — იგი აუჩქარებლად, ეპიურად მოედინება.

კიდევ ერთი ჟანრი! ამ ჟანრმა პირველად მიიღო მონაწილეობა „გაზაფხულში". ეს გახლავთ მუსიკალური კომედია, ოპერეტა. იმათ, ვინც ამ მხიარულ, ხალისიან მუზას ემსახურება, ახლახან მიიღეს ახალი შესანიშნავი თეატრი. მისი კარები ფართოდ გაიღო „გაზაფხულის" შესახვედრად.

ცოტა ხნის წინათ ოპერეტის, საერთოდ არ გააჩნდა ქართული ოპერეტის ნიმუშები. ახლა დიდი ნაწილი რეპერტუარისა ქართულია. ახლა მუსკომედიის თეატრში ხშირად მოდიან სულ სხვადასხვა თაობის და შემოქმედებითი მისწრაფების ქართველი კომპოზიტორები. გაზაფხულის მონაწილეებმა ნახეს ორი ოპერეტა — შ. მილორავას „სიმღერა თბილისზე" და გ. ცაბაძის „შესანიშნავი სამეული". ორივეში იგრძნობა კლასიკური და საბჭოთა ოპერეტის საუკეთესო ტრადიციებისა და ქართული ქალაქური და ხალხური ფოლკლორის შერწყმისაკენ სწრაფვა.

ყველაზე მაღალმხატვრული ნაწარმოებიც კი უშემსრულებლოდ თავის ბრწყინვალებას კარგავს. შემსრულებელს ძალა შესწევს მეორედ დაბადოს ნაწარმოები, ძლიერი სული შთაბეროს მას.

„გაზაფხულზე" ქართული მუსიკის ენთუზიასტებად მოგვევლინენ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები მ. იაშვილი, მ. მდივანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბათუ კრავეიშვილი, რომელმაც მეფე გიორგის შესანიშნავი სახე შექმნა მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენაში", მეტად ნიჭიერი ნორჩი პიანისტი ლექსო თორაძე და მრავალი სხვა.

„მუსიკალური გაზაფხულის" დასასრულს ყველამ ერთსულოვნად აღიარა, რომ თანამედროვე ქართული მუსიკა დიდად მრავალფეროვანი და მდიდარია.

მაგრამ მარტო ამით ხომ არ ამოიწურებოდა ჩვენი მუსიკის სიმდიდრე. „გაზაფხულში" არ მონაწილეობდნენ მთელი რიგი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები: ა. მაჭავარიანი, დ. თორაძე, რ. ლაღიძე და სხვ. რომელთა სახელებთან განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი მუსიკალური ხელოვნების გამარჯვებები. მათ „შემოქმედებითს პორტფელში" მრავალი საინტერესო, მაგრამ ჯერ დაუმთავრებელი ჩანაფიქრებია!

მირა ფიჩხაძე

ჩვენი ინტერვიუ

ელმირა აბასოვა,
აზერბაიჯანის სსრ,
მუსიკათმცოდნე

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული" — ეს პოეტური დევიზი მეტად ხატოვნად, მეტად ზუსტად ახასიათებს ამ მუსიკალური დღესასწაულის ნამდვილ შინაარსს. მართლაც, ვით გაზაფხულის ბუნება, ისე იფურჩქნება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური კულტურა, რომელიც შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგა მსმენელის წინაშე.

მე ვიტყოდი, ეს დღესასწაული ერთგვარი შემოქმედებითი სკოლაა ყველა ჩვენთაგანისათვის, ეს სკოლა ხელს უწყობს ჩვენი მუსიკალური ხელოვნების, მუსიკალური კულტურის ზრდასა და წინსვლას. აქ არც პედაგოგები არიან და არც მოსწავლეები. ამ სკოლაში ჩვენ ერთმანეთისაგან ვსწავლობთ და ერთმანეთს ვამდიდრებთ.

არნო ბაბაჯანიანი,
სომხეთის სსრ,
კომპოზიტორი

ქართული მუსიკალური ხელოვნება მუდამ ახლობელი და გასაგებია ჩემთვის. ძალიან მახარებს ჩემი ქართველი კოლეგების წარმატება.

ჩვენი „გაზაფხული" მარტო სიმღერისა და მუსიკის ზეიმი კი არ არის, ეს, უწინარეს ყოვლისა, ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობის ზეიმია. ამ ხალხთა უძველესი კულტურა ურთიერთკავშირში ვითარდებოდა და მდიდრდებოდა და ჩვენს დღეებში არაჩვეულებრივად გაიფურჩქნა.

ვლადიმერ კოტონსკი,
პოლონეთი, კომპოზიტორი

მოხარული ვარ, რომ ამ დიდებულ დღეებს ვესწრები. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც არის, რომ ყოველი ჩვენთაგანი, აქ, თქვენს გარემოში, უდიდეს სითბოს გრძნობს. განსაკუთრებით მომწონს „მუსიკალური გაზაფხულის" კარგი ორგანიზაცია. საოცარია, ამ მოკლე დროში რამდენი რამის ნახვას ასწრებ! ყველაფრისათვის გყოფნის დრო. და წარმოიდგინეთ ცოტათი გულიც კი მწყდება, როცა შუაღამით ერთმანეთს ვცილდებით, ვცილდებით მეორე დღემდე, პრესკონფერენციამდე.

ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა შალვა მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენამ". გამაოცა ნორჩმა მუსიკოსმა ა. თორაძემ, რომელმაც შესანიშნავად, მე ვიტყოდი, მეტად პროფესიულად შეასრულა საფორტეპიანო კონცერტი.

მცხეთასა და მის მონასტერში [illegible] ძველებურ სიმღერებს მე მრავალჯერ, მრავალჯერ გავიხსენებ ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვფიქრობ, თანამედროვე ქართულმა მუსიკამ სათავე მუდამ ამ ძველთაძველი ნაწარმოებებიდან უნდა აიღოს.

ივანე სპასოვი,
ბულგარეთი, კომპოზიტორი

თბილისის გაზაფხული ლამაზი და პოეტურია. მე მითხრეს აქ იგი მარადიული და უცვლელიაო. მჯერა.

ჩემს ქართველ კოლეგებს ვუსურვებ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ლოგარ მიხოვილი,
იუგოსლავია, კომპოზიტორი

აქ ბევრი რამ არაჩვეულებრივია. ერთი შეხედვით თბილისმა მომაგონა რომი, ფლორენცია, პარიზი... მერე გავიარე მის ქუჩებში და მივხვდი, რომ იგი სულ არ გავდა რომს, ვენეციას, ფლორენციას, პარიზს. თბილისი ზღაპრული ქალაქია, რომელშიაც თავი მოუყრია მსოფლიოს საუკეთესო ქალაქების ყველაზე მშვენიერმა ფერებმა. ამ ფერებს დღეს კიდევ უფრო აკეთილშობილებს ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული.

ფრიც გაისლერი, ერჰარდ როზენფელდი, მანფრედ შუბერტი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კომპოზიტორები

გულითადად მივესალმებით „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებს. პირველი შთაბეჭდილებები, რომლებიც თქვენს მშვენიერ ქალაქში მივიღეთ, გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ საქართველო მუსიკის ამოუწურავი საბადოა. ჩვენ ბევრჯერ გვსმენია ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები, ვიცნობთ რ. ლაღიძის, ო. თაქთაქიშვილის, ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, შ. მშველიძის და სხვათა შემოქმედებას. დღეს კი შესაძლებლობა მოგვეცა კიდევ უფრო დავახლოებოდით მათ.

ალან ხოვანესი,
ამერიკის შეერთებული შტატები, კომპოზიტორი

კმაყოფილი ვარ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულით". მე ვფიქრობ, რომ ასეთი ფესტივალები აუცილებელია კულტურის განვითარებისათვის. სწორედ ასეთი შეხვედრების დროს უნდა გაეწიოს ფართო პროპაგანდა ახალს, სწორედ ასეთი შეხვედრების დროს უნდა გამოვავლინოთ ნიჭიერი ახალგაზრდობა. ხოლო რაც შეეხება ტალანტებს — ტალანტები უხვად არიან ამიერკავკასიაში. ეს დაადასტურა ბაქოს ფესტივალმა, ამას ადასტურებს თბილისის ტურიც... ყოველ დღეს ახალი სიხარული მოაქვს.

მე დიდი სიამოვნებით მოვისმინე შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა". დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ოდისეი დიმიტრიადიმ. იგი ორკესტრის ღმერთია.

თეატრი „ატელიე" თბილისში

ანდრე ბარსაკი: ჩვენი თეატრის ისტორია შარლ დიულენის და ვასო ყუშიტაშვილის სახელებით იწყება...

ფრანგული თეატრის „ატელიეს" თბილისში ჩამოსვლა ქართველი საზოგადოებისათვის ორმხრივ არის საინტერესო — ჯერ ერთი, უშუალოდ გავეცნობით თანამედროვე ფრანგულ თეატრს, მეორეც, „ატელიე" ცნობილ რეჟისორთან შარლ დიულენთან ერთად ამ ორმოციოდე წლის წინათ ქართველმა რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა დააარსა.

1919-1929 წლებში საქართველოს სახალხო არტისტი ვასო ყუშიტაშვილი პარიზში მოღვაწეობდა. მისი რჩევითა და თანამონაწილეობით თეატრ „ანტუანთან", თეატრის ხელმძღვანელმა, ანტუანის მოწაფემ და კომპანიონმა, გამოჩენილმა რეჟისორმა ფირმენ ჟემიემ გახსნა სტუდია, რომელშიც ვ. ყუშიტაშვილი მსახიობის ოსტატობას და თეატრის ისტორიას ასწავლიდა.

ჟემიეს თეატრი პრინციპულად დემოკრატიული ტენდენციების თეატრი იყო და ხელოვნებაში ახალი იდეებისათვის მებრძოლ ადამიანებს იზიდავდა. ასეთთაგანი იყო შარლ დიულენიც, ტრადიციების მქონე თეატრის „ვიე კოლომბიეს" („ძველი სამტრედე") ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც ჟემიეს სტუდიაში გადავიდა სამუშაოდ. შარლ დიულენისა და ვასო ყუშიტაშვილის შემოქმედებითი შეხვედრა ბედნიერი შემთხვევა აღმოჩნდა თანამედროვე პროგრესული ფრანგული თეატრალური ხელოვნებისათვის. ამ შეხვედრის ნაყოფია თეატრი „ატელიე".

დიულენი იყო მეტად გამბედავი, მებრძოლი, ენერგიული, შრომისმოყვარე და ნიჭიერი ადამიანი. ასეთი ხელოვანი იყო ვასო ყუშიტაშვილიც. ამას ისიც ერთვოდა, რომ ქართველმა რეჟისორმა ჟემიეს სტუდიაში ქართული და რუსული რეალისტური თეატრალური ხელოვნების სული და კანონები მიიტანა. დიულენისათვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმტაცი მოსაზრება იყო. მან ვ. ყუშიტაშვილის სახით დაინახა ნამდვილი თანამებრძოლი, რომელმაც ჩააწვეთა თამამი აზრი — სტუდიიდან წაეყვანათ ჯგუფი და თვითონვე შეექმნათ დამოუკიდებელი თეატრი.

აზრი მალე საქმედ იქცა. სტუდიიდან წავიდნენ შარლ დიულენი და ვასო ყუშიტაშვილი, თან წაიყვანეს 24 სტუდიელი. პარიზის მახლობელ სოფელ დორდივში, პატარა აგარაკზე, დაიწყო ახალი თეატრის ჩამოყალიბება. შარლ დიულენი იყო ამ თეატრის მთავარი რეჟისორი და ადმინისტრაციულ საქმეთა გამგებელი, ვასო ყუშიტაშვილი — რეჟისორი და პედაგოგი. უცნობი და უსახელო თეატრის პირველი სპექტაკლი ფრანგი კომედიოგრაფის — რენიარის [illegible] იყო. ამას მოჰყვა სხვა სპექტაკლებიც და თეატრმა ფეხი აიდგა. ქალაქებში, დაბებში, სოფლებში, დიდ გზაჯვარედინებზე, ყველგან, სადაც ხალხი თავს იყრიდა, თეატრი მართავდა წარმოდგენებს, მასა კი სიხარულით ხვდებოდა დემოკრატიული რეპერტუარის მქონე ახალ თეატრს.

ტრიუმფალურად ოდნავ მოღონიერებული თეატრი სამოღვაწეო სეზონის გასახსნელად პარიზს ეწვია. სენ-სიულ-პისის მახლობლად დიულენმა დაიქირავა უზარმაზარი, ძველი, უკვე მიტოვებული საზეინკლო სახელოსნო, რომელსაც ვებერთელა აბრა „ატელიე" („სახელოსნო") ამშვენებდა. ამ შენობაში გამართეს სცენა, პარტერი... და თუმცა თეატრმა შემდეგ მრავალჯერ შეიცვალა ბინა, მაგრამ მაინც ძველებური სახელი „ატელიე" შერჩა.

„ატელიეს" მხატვრული სახის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ვასო ყუშიტაშვილმა. „ატელიეს" სცენაზე მან განახორციელა გოლდონის „მარაო", შალომ აშის „შურისძიების ღმერთი", მოლიერის „ჟორჟ დანდენი", არისტოფანეს „ფრინველები", ელ რეჟისა და დე ვენის „დიდმარხვა" და „სიყვარულის ვებანი" და სხვ.

ბურჟუაზიული პარიზის კონსერვატორული წრეები მტრულად შეხვდნენ „ატელიეს" გაჩენას. მაგრამ თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს წარბი არ შეუხრია, წინააღმდეგობები გადალახა და მალე ისე მომძლავრდა, რომ ძველ, კომერციულ თეატრებსაც კი მეტოქეობას უწევდა. „ატელიეს", კერძოდ ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლებს აღტაცებული რეცენზიები და სტატიები უძღვნეს გამოჩენილმა მოღვაწეებმა და კრიტიკოსებმა — ანდრე ანტუანმა, ლენორმანმა, ჟაკ ტერიმ, პიერ ბრისონმა და სხვებმა. ვასო ყუშიტაშვილის რეჟისორულ ხელოვნებაზე, უფაქიზეს გემოვნებასა და სისადავეზე, ბრწყინვალე სპექტაკლებზე და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, „ატელიეს" წველ ანსამბლზე ხშირად და ვრცლად იწერებოდა ინგლისის, ბელგიის, დანიის, შვეიცარიის, იტალიის ჟურნალებსა და გაზეთებშიც. ყველა ჯანსაღად მოაზროვნე რეცენზენტი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „ატელიეს" სცენიდან ფრანგული საზოგადოებისათვის ახალი სიტყვა ისმოდა, რომ „ატელიეს" სპექტაკლებში გაცოცხლებული იყო რაბლეს სატირა, მოლიერის მებრძოლი ხმა, გოლდონის ფაქიზი კომედიური სული, ალფრედ დე მიუსეს სევდა, რომ „ატელიეს" ყოველი სპექტაკლი იყო ნოვატორობის, ახალი თეატრალური ფორმების, აქტიორული ოსტატობის დემონსტრაცია.

„ატელიეს" შემოქმედების არსენალში ბევრი რამ შევიდა რუსული თეატრიდან, რუსული დრამატურგიიდან. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით შარლ დიულენსა და ვასო ყუშიტაშვილს. ამ ტრადიციას აგრძელებს დიულენის მოწაფე ანდრე ბარსაკი, თეატრის ამჟამინდელი ხელმძღვანელი.

როგორია თეატრის დღევანდელი სახე?

„ატელიეს" დასში არიან ნიჭიერი და დიდი შესაძლებლობების მქონე მსახიობები: კატრინ სელლერი, ჟაკ ფრანსუა, დელფინ სეირიგი, ოლივიე იუსენი, ჟაკ ემანუელი, ლილიან გოდე, ჟან ფრანვილი, ბერნარ რუსლე, ჟან დავი, რობერ ვრესერი, ელიზაბეტ ალენი და სხვ. თეატრის საგასტროლო რეპერტუარშია ჟან ანუის პიესა „ანტიგონე" (სოფოკლეს ტრაგედიის მოტივებზე, დადგმა და მხატვრობა ანდრე ბარსაკისა) არის მონეს სატირული კომედია „დაკრძალვა" (დადგმა ანდრე ბარსაკისა, მუსიკა მადლენ ლოფერუასი), ბომარშეს „სევილიელი დალაქი" (სცენური დამუშავება და დადგმა ანდრე ბარსაკისა), ტურგენევის „ერთი თვე სოფლად" (სცენური დამუშავება და დადგმა ანდრე ბარსაკისა). ოთხივე პიესა ბურჟუაზიული სამყაროს შინაგან წინააღმდეგობათა მამხილებელი, ბურჟუაზიული საზოგადოების სიძულვილით გაჟღენთილი ნაწარმოებია.

„ატელიეს" პირველმა სპექტაკლმა მოხიბლა ქართველი მაყურებელი. არის მონეს „დაკრძალვა" და ჟან ანუის „ანტიგონე", ორი სხვადასხვა დროისა და ეპოქის ამსახველი პიესა რეჟისორის ერთ სპექტაკლად უქცევია.

„ანტიგონე" „ატელიეს" სცენაზე პირველად 1944 წელს დაიდგა. ფაშიზმის ბატონობის წლებში ანტიგონეს პროტესტი და თავგანწირვა მაყურებელში გადადიოდა მქუხარე მოწოდებად — არ დამორჩილებოდნენ ფაშიზმს, არ შეეგუებოდნენ მეოცე საუკუნის ვანდალთა დესპოტიზმს. დიდი მამხილებელი ძალა, უზადო რეჟისორული და აქტიორული ოსტატობა, ყოველივ ნატიფი გემოვნება ამ სპექტაკლს დღესაც მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენად ხდის.

ჩვენ გაგვაოცა და მოგვხიბლა კატრინ სელლერის (ანტიგონე), ჟაკ ფრანსუას (ქორო), ჟან დავის (კრეონი), დელფინ სეირიგის (ისმენა), მარსელ ენიას (ძიძა) მაღალმა აქტიორულმა კულტურამ.

სპექტაკლის შემდეგ ვესაუბრე ანდრე ბარსაკს. ის ბრწყინვალედ ფლობს რუსულ ენას. მან საუბარში თქვა:

— როდესაც საქართველოში გამოვემგზავრეთ, ყველაზე მეტად მაღელვებდა ის, რომ შევხვდებოდი ჩემს მასწავლებელს, „ატელიეს" ერთ-ერთ დამაარსებელს ვასო ყუშიტაშვილს... მე დეკორატორად ვმუშაობდი მასთან, იგი მოხიბლული იყო ჩემი ნახატებით და შთამაგონებდა, რომ ჩემში რეჟისორი ცოცხლობდა... როცა ვასო ამერიკაში წავიდა, მისი რეკომენდაციით, შარლ დიულენმა მე დამნიშნა ვასოს ადგილზე... ის უდიდესი რეჟისორი იყო, მეტად ფაქიზი გემოვნების, დიდი ერუდიციის... როგორც პედაგოგი ხომ მართლაც შეუდარებელი გახლდათ. ჩვენი თეატრის ისტორია შარლ დიულენით, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფრანგეთის სტანისლავსკით და ვასო ყუშიტაშვილის სახელებით იწყება. ჩვენ, ფრანგები, ყოველთვის დიდი მოკრძალებით ვახსენებთ მათ სახელებს...

ანდრე ბარსაკი მოხიბლულია საქართველოთი, თბილისით, ქართველი ხალხით. მას უხარია, რომ ფრანგი და ქართველი ხალხი ძალიან გავს ერთმანეთს, რომ ორივე ხალხის ხელოვნება თვითმყოფადია, ორიგინალური და გამაოცებლად მაღალ დონეზე დგას.

სერგო ჭეიშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი და საბჭოთა ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი

„მე დატვირთული ვარ ძველი კულტურით, — რომელიც ხუნდებივით მძლევს და მისი სრული დაძლევა არც იმდენად ადვილი საქმეა და, შესაძლებელია, არც იმდენად სასარგებლოა ჩემთვის, იმიტომ, რომ, შესაძლებელია, მე ერთი აბირებული კაცის ამბავი დამემართოს, რომელმაც თავისი ძველი ტანისამოსი ბუხარში შეაგდო და ახალიც ვეღარ იშოვა. ნამდვილად კი მე ვცდილობ ძველი მასალა და ახალი იდეოლოგია შევათავსო". — წერდა მ. ჯავახიშვილი ჟურნალ „მნათობში", 1932 წელს.

რას გულისხმობს მწერალი მასალასა და იდეოლოგიაში? ეს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, თემისა და იდეის ერთიანობის საკითხია. შეუზღუდველობა თემისა და ერთიანობა იდეისა, უფრო სწორად, იდეოლოგიისა — აი, ეს არის მ. ჯავახიშვილის დასკვნა და ამას იგი შემდეგნაირად აყალიბებს:

„არც ერთი თემა აკრძალული არ არის. თემა ისე მრავალია ყველგან, როგორც ქვა რიყეზე... ღონიერ მწერალს შეუძლიან თუნდ ფარნაოზის დრო გააცოცხლოს".* მაგრამ „უმთავრესი კი მაინც ის არის, რანაირი თვალით დაინახავს მას (თემას — ა. ს.) მწერალი". (იქვე).

თვალი კი მსოფლმხედველობაა, იდეოლოგიაა. რა პოზიციაზე დგას მ. ჯავახიშვილი, როგორია მისი პოლიტიკური თვალი?

„ოქტომბერმა თვალი გამოგვიცვალა და საგანიც და ამბავიც ახლებურად დაგვანახვა. უწინ არსენა მარაბდელს არ დავწერდი ან სულ სხვანაირად დავწერდი". (იქვე).

ამის თქმა შეეძლო მხოლოდ ისეთ შემოქმედს, რომელიც მთელი თავისი არსით ახალ, საბჭოთა პოზიციებზე დგას და ემსახურება იმ იდეას, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, ხავსმოდებულ ქვასაც კი ფესვს სდგამს და აალმაცებს.

მაგრამ მარტო იდეა ვერ შექმნის მხატვრულ ნაწარმოებს. ამ დროს წინა პლანზე მხატვრული გუმანის, ინტუიციის საკითხს წამოსწევენ ხოლმე და მას გადამწყვეტად მიიჩნევენ. მიხ. ჯავახიშვილს კი სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ „ვინც მხოლოდ გუმანით მუშაობს, მას ბოდვის მეტი არაფერი გამოუვა". მაგრამ არც ის იქნება სწორი, თუ შემოქმედებას მხოლოდ გონების ფუნქციად გამოვაცხადებთ. „ვინც მხოლოდ გონებით სწერს, — განაგრძობს მწერალი, — იმის ხელიდანაც ტრაქტატის მეტი არა გამოვა რა. შემოქმედება მიუდგომელი იდუმალი შეზავებაა გონებისა და გუმანისა".

გონებისა და გუმანის შეზავების გარდა მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დაკვირვების უნარს, ცოდნასა და შრომას, რომელთაგან პრიორიტეტს შრომას აძლევს. „...დიდი შრომა საშუალო ნიჭსაც დიდ მწერლად გახდის, ხოლო დიდად ნიჭიერ მწერალს გენიოსად გადააქცევს".

შემოქმედის ჩამოყალიბების საქმეში მიხ. ჯავახიშვილი შრომას გადამწყვეტ როლს ანიჭებს. თუ გავიხსენებთ, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ილია და აკაკი პოეტს და ამას პოეტის დანიშნულების მიხ. ჯავახიშვილისეულ განმარტებას შევადარებთ, აუცილებლად შევნიშნავთ, რომ მან ყველა შემოქმედს მხოლოდ მიწიერება დაუტოვა. მაგრამ მიწიერება არა განყენებულად, არამედ სავსებით კონკრეტულად — შემოქმედი არის მშრომელი. „ჩვენ შრომის ქვეყანაში ვცხოვრობთ. თვითონაც მშრომელები ვართ". წერდა იგი.

როგორ წარმოუდგენია მ. ჯავახიშვილს ეს შრომა? მწერალი უნდა იცნობდეს ცხოვრებას. ცხოვრება იმდენად რთულია, რომ მეტად დიდი შრომაა საჭირო მის შესასწავლად. რაც უფრო მეტს გაიგებ, რასაც უფრო მეტს შეითვისებ, უფრო გამოიკვეთება, ჩამოყალიბდება მწერლის ალღო, ურომლისოდაც შეუძლებელია მთავარისა და დამახასიათებლის შერჩევა და გამოყოფა. „მწიგნობრული ცოდნის გარდა, უფრო მეტად საჭიროა ცხოვრების ცოდნა, გამოცდილება, დაკვირვება და გაღვიძებული ალღო".* — წერს იგი.

მაგრამ მარტო ფაქტების აღნუსხვა, თუნდაც მთავარის და ნიშანდობლივისა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მხატვრულ ნაწარმოებს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და მიხ. ჯავახიშვილსაც სწამს, რომ „მხატვრული პროზა იწყება იქ, სადაც იწყება რაიმე ფაქტური ამბავის მხატვრული გარდაქმნა".

შემოქმედის ხელოვნებაც ის იქნება, რომ მან ეს ცხოვრებისეული ფაქტი მხატვრულ სამოსელში მოაქციოს. თუ რა არის არსი ამ ხელოვნებისა, ამას მიხ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: „ხელოვნება სამხატვრო ხერხების ჯამია და კიდევ რაღაც და უმთავრესი ეს რაღაც არის...

თავდაპირველად ეს არის იდეა, ღრმა შინაარსი, რომელიც ფაბულით და მისი სიუჟეტური გაშლით გამოიხატება. მეორე: ეს არის ნაწარმოების ყველა ნაწილის ორგანული მთლიანობა, რომელიც ბალზაკმა ასე გამოხატა: მოთხრობა ისარივით პირდაპირ მიზანსაკენ უნდა მიდიოდესო. მესამე: ეს არის აგრეთვე მთლიანობა ფორმისა და შინაარსისა, რომელიც მონოლითობას აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს. მეოთხე: გულწრფელობა, უბრალოება და სიმართლე. მეხუთე: მკვეთრი სტილი, ამ სიტყვის ფილოსოფიური და ფილოლოგიური მნიშვნელობით. მეექვსე: ხალხურ-ლიტერატურული ენა, რომელიც ნაწარმოებს მკითხველის გულს მიაწვდის".*

საინტერესოა, როგორ ესმის მიხ. ჯავახიშვილს სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნაში ფაბულისა და სიუჟეტის როლი.

ერთგან ის წერს, რომ „ფაბულა მოტორის როლს ასრულებს. დამოუკიდებელი თავები ბორკავენ სიუჟეტის განვითარებას".

სხვაგან ამ აზრს კიდევ უფრო აღრმავებს:

„მცირეა ფაბულა ის მოტორია, რომელმაც მოთხრობა და რომანი უნდა გააქროლოს. ზოგი თითისოდენა მოტორს ვეება ურემს შეუდგამს ხოლმე. ზოგი უამრავ გორებზე მასალას დააყრის და ჰგონია, ეს მაწია მოტორი ამ უშველებელ ტვირთს გააქანებსო. რა თქმა უნდა, რომ არც მეორე უკიდურესობაა ვარგა. არ ივარგებს, რომ ცარიელ ურემს ასძალიანი მოტორი მივუჩინოთ, რომ უზარმაზარი სარომანო თემა მინიატურაში მოვაქციოთ, რომ ფაბულა ვერ გავხსნათ და იგი კომპაქტად ვაქციოთ".**

რომანის შექმნა კი მ. ჯავახიშვილს ჩვენი მწერლობის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია, ისეთი რომანისა, რომელიც თანამედროვე ეპოქის შესაფერი იქნება, ახასიათებს და მასვე მოემსახურება. „საბჭოთა მწერლობამ ახალი ადამიანი ინდივიდუალურ და სოციალურ კონკრეტობაში ე. ი. სოციალიზმის მშენებლობაში უნდა გვიჩვენოს, მკითხველს ამ დიდი ეპოქის თანახმარი რომანი სჭირდება".* — წერს იგი.

მწერლის ამ მოსაზრებაში განსაკუთრებით საყურადღებოა ახალი ადამიანის ტიპის შექმნის საკითხი. ნიშანდობლივია, რომ დიდი მხატვრული ტილოს ყველაზე უფრო დიდებით დამახასიათებელ ნიშნად იგი მოქმედი გმირის ადამიანურობას მიიჩნევს: გმირის, ადამიანის ჩვენება ინდივიდუალურ კონკრეტობაში ყოველგვარი წინასწარდასახული და საერთო, დამტკიცებული სქემის გარეშე; ტიპის ადამიანურობა, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ ამავე დროს და ამასთან ერთად მისი (ტიპის) ჩვენება სოციალურ კონკრეტობაში. ინდივიდუალობა არა ინდივიდუალიზმისათვის, არამედ ინდივიდუალობა საზოგადოებაში და საზოგადოებასთან ერთად.

ტიპის შექმნა მიხ. ჯავახიშვილს მწერლისთვის აუცილებელ საქმედ მიიჩნევს. „იშვიათია დიდი მწერალი, გარდა ლირიკოსისა, რომ მან ტიპი არ შექმნას... — წერს იგი. — მწერლისთვის ტიპის შექმნა ისევე საჭიროებულია, როგორც სიუჟეტი, იდეა და სხვა ამგვარი". თავის ამ დებულებას შემდეგში იგი უფრო აზუსტებს: „რომანში ყველაზე უფრო მეტად ძვირი არის მისი კომპოზიცია და აგრეთვე ტიპის ახასვა, რომელიც საყურადღებო მაინცა და მაინც არ არის ნოველაში". ე. ი. ტიპი რომანისათვის აუცილებელია.

სად უნდა ეძებოს მწერალმა გმირი თავისი რომანისათვის? როგორც ვთქვით, მიხ. ჯავახიშვილი ნაწარმოებისთვის თემის შერჩევას არ ზღუდავს. მაშასადამე, გმირის პოვნა ისტორიულ წარსულშიც შეიძლება, მაგრამ იგი უპირატესობას თანამედროვე ცხოვრებას ანიჭებს: „ახალი გმირის თვითონ დღევანდელობა გვთავაზობს, იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში, მაღაროში, ყრილობაში, ჯარში, წყალზედაც და წყალქვეშაც".

ამ დროს აუცილებლად წამოიჭრება ხოლმე დადებითი გმირის პრობლემა. მიხ. ჯავახიშვილს თავის დროზე უსაყვედურებდნენ, რომ იგი გადაშენების გზაზე დამდგარ ადამიანებს უფრო მეტად აღწერს, ვიდრე ახალი ცხოვრების შენებლებს. 1934 წლის „ლიტერატურული გაზეთის" 31-ე ნომერში გამოქვეყნებულ „მწერლისა და მკითხველის მიმოწერაში" მკითხველი [illegible] წერს, ახლა საბჭოეთში [illegible] და კარგი იქნებოდა ახალ ადამიანებზეც გვექნა რომ ეწეროთ.

თავის პასუხში მიხეილ ჯავახიშვილი ამ კონკრეტულ კითხვასაც აშუქებს და საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებში დადებითისა და უარყოფითის საკითხსაც:

„კეთილის დანახვა მეც მიმზიდავს, მაგრამ ამ უდიდეს და უძნელეს პრობლემას მწერალი ვერ გაექცევა.

რა სჯობია ჩრდილი თუ შუქი? ურთმანეთოდ ხელოვნებაში არც ერთი არ არსებობს. მე მაინც გეთანხმებით, რომ ლია ფერი მეტი უნდა სჭარბობდეს. ჯანსაღი ოპტიმიზმი მოგვწყურდა, საბჭოთა მწერლობაც ზედაჭრით დადგა ამ გზას. არც მე ჩამოვრჩები. „არსენა მარაბდელი" ამ გზის დასაწყისია".

მიხ. ჯავახიშვილი დიდი პატივით ეპყრობოდა კლასიკურ მემკვიდრეობას. იგი დარწმუნებული იყო, რომ ახალი, მართალი სიტყვის თქმა მხოლოდ მემკვიდრეობით აღჭურვილ შემოქმედს შეუძლია. ამავე დროს იგი [illegible] გაურბოდა მათ! — აი მწერლის დევიზი. [illegible] რაც ახლა წინ დგას საქმე.

ახალი ლიტერატურა მებრძოლი, შემტევი, მონუმენტური უნდა იყოს, მასში უნდა გამოჩნდეს დროის ძალა და ენერგია: „უწინდელი გამოხმობილი სტილი კატეგორიით გამაგრდა. ახლანდელი ლირიკაც კი გამკვრივდა და ლითონივით ჟღერს".*

ამ გზით უნდა წავიდეს ქართული მხატვრული ლიტერატურა. მაგრამ მისი წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ თავის თავში არ ჩაიკეტება, არ შემოიზღუდება რესპუბლიკის საზღვრებით და მჭიდრო ურთიერთობაში იქნება სხვა ხალხების ლიტერატურასთან. მიხ. ჯავახიშვილი კულტურული „ალებ-მიცემობის" მომხრეა: „ამას წინათ ერთი გამოჩენილი რუსი კრიტიკოსი სამართლიანად წერდა, რომ ქართულმა მწერლობამ რუსულ მწერლობაზე გავლენა იქონიაო. თავისთავად ცხადია, რომ რუსულმა მწერლობამ ქართულზე მრავალჯერ უფრო მეტი გავლენა მოახდინა. კულტურული ალებ-მიცემობა ორივე მხარეს არგებს და ამ მოვლენას უთუოდ უნდა მივესალმოთ".**

აი დაახლოებით ასეთნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს მხატვრული ლიტერატურის ძირითად საკითხებზე მიხეილ ჯავახიშვილის შეხედულებები.

არმაზ სანებლიძე

* „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ. № 1.

* „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ. № 4.

* „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ. № 4.
** „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ. № 21.

* „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ. № 21.

* „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ. № 1.
** იქვე.

წიგნი საქართველოს მეგობარ მხატვარზე

Ilona Berkovits
MIHÁLY
ZICHY

ხალხთა ძმობისა და ურთიერთ კულტურული კავშირის ის იდეალი, რომელიც გასულ საუკუნეში აპულდმულებდათ სხვადასხვა ერის მოწინავე მოღვაწეებს, დღეს განხორციელებულიც არის და უნახავ სიმაღლემდე არის აყვანილი. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები სიამაყითა და მადლობის გრძნობით იხსენიებენ თავიანთ წინაპართა სახელებს, რომლებმაც მცირე წვლილი როდი შეიტანეს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ამ წინაპართა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს უნგრეთის საამაყო შვილსა და საქართველოს უანგარო მეგობარს მიხეილ ზიჩის.

გასული საუკუნის მიწურულში ზიჩიმ დიდი სიყვარულითა და ოსტატობით დაასურათა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", მრავალმხრივი დახმარება გაუწია იმდროინდელ ქართველ მოწინავე ადამიანებს, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უნგრეთისა და საქართველოს მეგობრობას.

ამ მეგობრობის მაჩვენებელია ამ უახლოეს დროს ბუდაპეშტში, გერმანულ ენაზე გამოსული ილონა ბერკოვიჩის ნაშრომი: „მიხეილ ზიჩი — ცხოვრება და შემოქმედება". სადაც საგრძნობი ადგილი აქვს დათმობილი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ზიჩის დამოკიდებულებას. ავტორი გულთბილად და საქმის ცოდნით აშუქებს ამ დამოკიდებულებას.

დიდი მხატვრული გემოვნებითა და პოლიგრაფიულად ბრწყინვალედ გამოცემულ მონოგრაფიაში მოთავსებულია ორასზედმეტი რეპროდუქცია.

ამ ილუსტრაციათა შორის ვრცლად არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის" დასურათება. ყოველ ილუსტრაციას დათმობილი აქვს მთელი გვერდი. ეს ილუსტრაციებია: „ვეფხისტყაოსნის მირთმევა", „სეფე მტირალი წყლისა პირსა", „ძერა ერთმანეთსა, დახვდნენ თავსა ხელ-აღპყრობილად", „წასვლა ავთანდილისა ტარიელის საძებრად", „შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა", „ლოცვა ავთანდილისა", „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედატანსა".

ამავე დროს ამ მრავალ ილუსტრაციათა შორის ჩვენს ყურადღებას იქცევს მ. ლერმონტოვის „დემონის" სიუჟეტის მიხედვით შექმნილი სამი კომპოზიცია „თამარის ცეკვა", (მისი ვარიანტი) და „თამარის დატირება მშობლების მიერ", რომლებიც ნაკლებად არის ცნობილი თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის.

ამ კომპოზიციებში, განსაკუთრებით „დატირებაში" დიდი ოსტატობითა და კეთილშობილებით არის გამოკვეთილი პერსონაჟთა სახეები. ილუსტრაციები აყვანილია დიდი ტილოს დონემდე. სადაც არტისტული გრძნობით არის გადმოცემული ქართული ყოფაცხოვრება, ეროვნული ხასიათი და პერსონაჟთა სულიერი განცდა. აქ ზიჩის შემოქმედების ერთ დამახასიათებელ დეტალზეც უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: რაოდენ მწუხარებით აღვსილ სცენასაც არ უნდა გვიხატავდეს ზიჩი, ყოველთვის დიდ სიფაქიზეს იჩენს, განსაკუთრებული ოსტატობით ამუშავებს ყოველ დეტალს, რითაც ამდენს სრულ მხატვრულ შთაბეჭდილებას.

ილონა ბერკოვიჩი ამ ნაშრომში ბევრ ახალ ცნობებს გვაწვდის ზიჩის წინააღმდეგობებით სავსე ბიოგრაფიის შესახებ. მკვლევარი გადაჭრით უარყოფს ღრმად გავრცელებულ აზრს, თითქო ზიჩი მხოლოდ სამეფო კარის მხატვარი იყო და ნაკლებად აინტერესებდა თავისი ეპოქის პროგრესული იდეები. იგი მრავალი მასალით ამტკიცებს, რომ „ზიჩი არის ერთადერთი წარმომადგენელი უნგრეთის ხელოვნების ისტორიაში, რომელმაც განიცადა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების იდეების გავლენა" (გვ. 5.) მკვლევარი ხაზს უსვამს ზიჩის ღრმა პატივისცემას როგორც ჩერნიშევსკის, ისე ევროპის უდიდესი მწერლისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს უნგრეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიმართ ზიჩის დამოკიდებულებას და იქვე აღნიშნავს, რომ ზიჩი მარტო უნგრეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მიმართ კი არ იყო თანაგრძნობით განმსჭვალული, არამედ დიდი სიმპათიით ეკიდებოდა აგრეთვე თავისუფლებისათვის ყველა ჩაგრული ერის ბრძოლას, მზად იყო, საჭირო შემთხვევაში, დახმარებოდა მათ. ამის საილუსტრაციოდ მარტო საქართველოს მაგალითიც კმარა.

მკვლევარის სარეცენზიო ნაშრომი ძირითადად სამ პერიოდს მოიცავს. პირველში მკითხველი ეცნობა მხატვრის სამშობლოში მოღვაწეობას, სადაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გაითქვა სახელი; მეორე პერიოდში განხილულია ზიჩის პარიზში მოღვაწეობა, ამ დროინდელ ევროპის ჭკუანიერ მწერლებთან მისი შეხვედრები; მესამე პერიოდში ვრცლად არის გაშუქებული ზიჩის ცხოვრება და შემოქმედება რუსეთში, სადაც არსებითად მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა და, დიდი მხატვრის სახელთან ერთად, დიდი მოქალაქისა და პროგრესული მოღვაწის სახელიც დაიმსახურა.

როდესაც ავტორი ეხება ქართველებისადმი ზიჩის დამოკიდებულებას, ამბობს: „ზიჩი საქართველოში მისვლისთანავე ჩაება ქართველი მოწინავე ინტელიგენციის საქმიანობაში..... ნებაყოფლობით იკისრა რუსთაველის დასურათება".... „ქართველები მას ძალიან უმასპინძლდნენ" (გვ.16).

საქმე ის არის, რომ როდესაც ზიჩი ეწვია საქართველოს (1881 წ.), იმ დროს ჩვენი მოწინავე ადამიანები, მთელ ხალხთან ერთად, ემზადებოდნენ უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" საჯუბილეო გამოცემისათვის. როდესაც ზიჩის შესთავაზეს რუსთაველის პოემის დასურათება, მან სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, რვა წელიწადი იღვაწა და ნაკისრი საქმე ბრწყინვალედ დააგვირგვინა სრულიად უსასყიდლოდ.

გარდა „ვეფხისტყაოსნის" დასურათებისა, ზიჩიმ დიდი დახმარება გაუწია თავის დროზე ცნობილ ქართველ სასულიერო მკვლევარს საბინინს (გობრონი), მისი გახმაურებული ნაშრომის „საქართველოს სამოთხის" დასურათებაში. ამის შესახებ ი. ბერკოვიჩი არაფერს ამბობს. ვფიქრობთ, რომ მისთვის ეს ფაქტი უცნობი უნდა იყოს, ისევე როგორც ზიჩის მიერ წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი სამი სურათის შექმნა. ეს სურათები, როგორც ცნობილია, მან მიუძღვნა ბოდბის მონასტერს, როდესაც იგი ხელმეორედ ესტუმრა საქართველოს და კახეთთან ერთად სოფ. იყორთაც მოინახულა (ქართლში), სადაც იმყოფებოდა მისი საყვარელი მოწაფე მხატვარი მ. ეტლინგერი, დიმიტრი ერისთავის მეუღლე. იყორთაში ყოფნის დროს ზიჩიმ იყორთის განთქმული მონასტერიც დახატა.

ი. ბერკოვიჩი დიდი სიყვარულით ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსნის" დასურათებაზე და თავისებურად ახასიათებს ამ ილუსტრაციებს:

„რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებში ზიჩი ჯარგვითი და ტანისამოსით აღორძინებს შუასაუკუნეების აღმოსავლეთის ლეგენდურ სილამაზესა და სიმდიდრეს. ერთდროულად ის, ვისის შესახებ მისად, თავის რეალიზმით აღავსე სახასიათო სურათებში, მხატვრის პოეტურ გაგზნებას ვირტუოზულად გვიჩვენებს" (გვ. 17).

ი. ბერკოვიჩი დაასკვნის, რომ ზიჩის კავკასიაში მოგზაურობის შედეგად დახატულმა ნახატებმა, რომლებიც გვიჩვენებს განსაცვიფრებელ ახალ მხატვრულ ხედვას, მხატვრის ახალ სახეს, თან დასძენს, რომ „ლენინგრადში დაცულია ალბომი ზიჩის გამოუქვეყნებელი სურათებისა, სადაც მან რეალისტურად, ზოგჯერ თავისი წარმოდგენით წარმოდგენილი აქვს კავკასიის ძველი ტიპები". კარგი იქნებოდა ამ ალბომის ნახვა და ჩვენი საზოგადოებისათვის გაცნობა.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კიდევ ერთი საგულისხმო ნაშრომი შეემატა ჩვენი გულწრფელი მეგობრის მხატვარ მ. ზიჩის შესახებ არსებულ მრავალ გამოკვლევასა და მონოგრაფიას.

ბენო გორდეზიანი

• • •

სურათებზე: (ზემოთ) წიგნის ყდა. (ქვემოთ) „თამარის დატირება მშობლების მიერ".



წარსულის ცოცხალი ფურცლები

„დიდთა და მცირე მოღვაწეთა ცხოვრება თანაბრად საინტერესოა, თუ ის მცირე დიდ ცხოვრებას ერწყმის და თუ დამწერიც დიდი ეპოქის ტკივილებით აღძრული", — წერს მწერალი ქალი ბაბილინა ხოსიტაშვილი მემუარულ თხზულებაში „მშობლიურ სოფლიდან დედაქალაქში"*.

ასეც არის. ბაბილინა ხოსიტაშვილის ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული გასული საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის მღელვარე მოვლენებთან. მისი წიგნიც დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს — XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე. მწერალმა საინტერესოდ მოგვითხრო, რაც მას უნახავს და განუცდია თავისი ცხოვრების გზაზე.

ბაბილინა ხოსიტაშვილი, და გამოჩენილი ქართველი პოეტის ირ. ევდოშვილისა, წარმომადგენელია იმ მწერალ ქალთა თაობისა, რომელმაც მწერლობაში შემოიტანა დემოკრატიული იდეები, სოციალური თემები და მიუძღოდა 900-იანი წლების მძიმე პოლიტიკური გარემოცვისა, გაბედულად უმღერა ხალხის მომავალ თავისუფლებას.

ოცი ათეულ წელს გადაცილებულ მწერალ ქალს კალამი დღესაც არ გაუგდია ხელიდან. „მშობლიურ სოფლიდან დედაქალაქში" ბაბილინა ხოსიტაშვილის ნაყოფიერი მუშაობის საუკეთესო მაგალითია.

წიგნი ინტერესით იკითხება და გვხიბლავს ცოცხალი, ხატოვანი ენითა და თხრობის ბუნებრიობით.

პირველ ნაწილში ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მწერლის მშობლიური სოფელი, თავის უფროს ძმასთან — იროდიონთან ერთად გატარებული ბავშვობის წლები.

აქ ბაბილინა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით იგონებს ირ. ევდოშვილის ძმას, რომელმაც თავისი და წმინდა ნინოს ბოდბის სასწავლებლიდან წამოიყვანა და გზა გაუხსნა ქალაქის ცხოვრებისაკენ.

მღელვარე ცხრაასხუთში ბაბილინა უკვე ასოთამწყობად მუშაობს თბილისის სტამბაში. იგი უახლოვდება მუშათა წრეებს, ეცნობა მათ ცხოვრებას, იზიარებს მათს ჭირვარამს და აქტიურად ებმება მუშათა მასობრივ გამოსვლებში. ამ დროს იბადება მისი პირველი ლექსებიც.

ბაბილინა ხოსიტაშვილი დიდი დამაჯერებლობით გვიხატავს 1905 წლის რევოლუციის სურათებს, თბილისის ქუჩებში მოწყობილ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. მწერალი აღწერს ბრძოლის ცეცხლში გაზრდილ ქალებს. დემონსტრანტთა შორის ვხედავთ თვით ახალგაზრდა მწერალ ქალს, რომელსაც ხელში წითელი დროშა ეპყრა.

რევოლუციის დამარცხების შემდეგაც იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მხურვალე მონაწილეობას იღებს სახალხო წრეებში, საკვირაო სკოლებში.

წიგნში ბაბილინა ხოსიტაშვილი ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის შესახებ. გვაცნობს საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, სადაც იკრიბებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ბაბილინა აქ დაუახლოვდა შიო მღვიმელს, სამსონ ფირცხალავას და სხვებს. აქვე ნახა მან ილია ჭავჭავაძე.

ბაბილინას კარგად ახსოვს აკაკის წამახალისებელი სიტყვები, როცა იგი ესწრებოდა ქუთაისისა და თბილისის თეატრებში მწერალი ქალის მიერ პოლონურიდან თარგმნილი დრამატული პოემის „ეროსი და ფსიქეა" დადგმას. მოწონს, კარგი ქართულით არის ნათარგმნიო, — უთქვამს მისთვის აკაკის.

ბაბილინა გვიამბობს თავისი თანამედროვე მწერალ მოღვაწე ქალების — ანასტასია თუმანიშვილის, მარიამ დემურიას, კატო მესხის, ეკ. გაბაშვილის, დომინიკა ერისთავ-[illegible] შრომა-საქმიანობას. იგი ახლოს იდგა ამ მწერალ ქალთა საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

წიგნის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს მოგონებებს, რომელიც ეხება ირ. ევდოშვილის ცხოვრებას.

ირ. ევდოშვილის პოეზიით და ცხოვრების შესწავლით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საგულისხმოს ნახავს ამ მოგონებებში. აქ მკითხველი ეცნობა ირ. ევდოშვილის ბავშვობის წლებს, მის ბაქოში წასვლას, 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობას, ჭიათურაში ყოფნას, დაპატიმრებასა და გადასახლებას, გადასახლებიდან დაბრუნებას და მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებს.

წიგნის ეს ნაწილი, როგორც ვხედავთ, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. აქ მოყვანილი ფაქტები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მათი ავტორია იროდიონის უახლოესი ადამიანი, მისი და, რომლის თვალწინაც გაირბინა იროდიონ ევდოშვილის მთელმა ცხოვრებამ.

ბაბილინა ხოსიტაშვილის მეუღლე ნიკო კორძალაშვილი, „ნარკვის" ფსევდონიმით ცნობილი, ერთ-ერთი საინტერესო ფიგურა იყო იმ პერიოდში. მწერალი ქალი ამ უანგარო მოღვაწეს რამდენიმე სტრიქონით ახსენებს და წიგნის დასასრულს წერს, რომ განზრახული აქვს დაწეროს მოგონებები ნიკო კორძალაშვილის მოღვაწეობასა და ცხოვრებაზე. ვიმედოვნებთ, რომ ეს კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი იქნება ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებისა.

ბაბილინა ხოსიტაშვილის წიგნი — „მშობლიურ სოფლიდან დედაქალაქში" — სადად და მართლად დაწერილი ნაწარმოებია, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ახალგაზრდობას.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

*) ბ. ხოსიტაშვილი — „მშობლიურ სოფლიდან დედაქალაქში". „ლიტერატურა და ხელოვნება", 1964 წ.

„ცხოვრების ჯარა" მესხიშვილის თეატრში

ვ. კაკაბაძის პიესა „ცხოვრების ჯარა" მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებია. ქუთაისის თეატრის კოლექტივი ხელმეორედ მიუბრუნდა ამ ნაწარმოებს და მაყურებელს მისი ახალი ვარიანტი უჩვენა. ეს ვარიანტი კი, როგორც იდეურად, ისე მხატვრული ღირსებებითაც უფრო მაღლა დგას, ვიდრე პირვანდელი ვარიანტი. სიუჟეტიც უფრო ნათლად არის გამოკვეთილი.

ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრს ვ. კაკაბაძის დრამატურგიის სცენური ხორცშესხმის დიდი ტრადიცია აქვს. „ცხოვრების ჯარას" დადგმისას, როგორც რეჟისორმა, თეატრის ხელმძღვანელმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ, ისე მსახიობთა კოლექტივმა კარგად გამოიყენა ეს ტრადიცია. ამის შედეგია, რომ აქტიური, სოციალური ჟღერადობის მძაფრი სატირული სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს. სპექტაკლში ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოჩნდა რეჟისორული თავისებურება აკაკი ვასაძისა, რომელიც დიდად აფასებს და ფაქიზად გრძნობს დრამატურგის ჩანაფიქრს. „ცხოვრების ჯარაში" არცერთი მიზანსცენა, არცერთი მოქმედება არ არის, რომელიც თვითმიზნური იყოს და უშუალოდ თვით პიესის არსიდან არ გამომდინარეობდეს.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. თავაძემ სპექტაკლს ყოველგვარი ყოფითი ელემენტები ჩამოაშორა, ცალკეული დეტალების ჩვენებით სრული ილუზია შექმნა. ეს ითქმის ზეფორეს კაბინეტის, ქარხნის დირექტორის კაბინეტის, ქარხნის ეზოსა და სხვა სცენებზე. ამით მხატვარი რეჟისორს ყოფითი კომედიის ნაცვლად, მძაფრი სოციალური სატირის შექმნაში დაეხმარა.

ქართულ თანამედროვე დრამატურგიაში ზეფორე სრულიად ახალი ტიპია. მას წინაპარი არა ჰყავს. იგი ძლიერი ხასიათის, გამჭრიახი გონების ქალია. მან ცხოვრება პატიოსანი შრომით დაიწყო, მაგრამ ქებამ და განდიდებამ მას გულში პირველი კეთილი საწყისები სრულიად წაშალა, რამაც ეგოისტად და კარიერისტად ჩამოაყალიბა.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ქ. კილაძემ სწორედ ასეთი ძლიერი ნებისყოფის, ბრძოლისუნარიანი და ცბიერი ქალის სახე შექმნა. მსახიობი პირველივე რეპლიკიდან გვაგრძნობინებს მისი გმირის მრწამსს.

ლომპიანეს მაყურებელი სწორედ იმ პერიოდში ხედავს, როცა ამ გაიძვერა, „დიდი კაცის" სახელის მოტრფიალე ელემენტმა მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობა მოიპოვა და, ნიღაბახდილი, ისევ რიგით ინჟინრად დააბრუნეს ქარხანაში.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. მეგრელიშვილმა ლომპიანეს სახით შექმნა გარეგნულად თითქოს კეთილი, მოხიბვლითად მიმზიდველი ადამიანი, რომელიც დარბაისელი კაცის სიდარბაისლეში ყოველგვარ სისაძაგლესა და ბოროტებას მოაწერს ხელს. მართალია, მისი სამოქმედო ასპარეზი და გავლენის წრე შემცირდა, მაგრამ კვლავ ყოველგვარ მაქინაციებს იგონებს ძალისა და გავლენის შესანარჩუნებლად. მსახიობი დიდი თავშეკავებით, ზომიერების გრძნობით, თანმიმდევრულად ბოლომდე ხდის ნიღაბს ლომპიანეს ნამდვილ სახეს, გმირის უტიფარი მდგომარეობის დასახატავად კომედიურ საშუალებებსაც არ იშურებს, რითაც სცენურ სახეს მრავალმხრივ საინტერესოს ხდის.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შ. პირველის გერასიმე პრინციპულობას მოკლებული პიროვნებაა. ამიტომ მას საკუთარი სახე არა აქვს და ქამელეონად ქცეულა. მსახიობი ასეთი ადამიანის ერთ ძირითად დამახასიათებელ თვისებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს. ეს არის უფროსისადმი ბრმა, მონური მორჩილება და ქვემდგომების აბუჩად აგდება. შ. პირველმა მისი გმირის გარეგან თვისებებსაც მიაქცია ყურადღება. მთელ სპექტაკლში იგი მხრებში მოხრილი მოჩანს და ამავე დროს გაბღენძილობასაც ინარჩუნებს, რაც მისი შინაგანი ბუნების დამახასიათებელია. ნიჭიერმა მსახიობმა ამით კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა გმირის ხასიათი და მაყურებლებისათვის დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

მწერალმა ამ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს ბრძოლისუნარიანი, პრინციპული ახალგაზრდობა დაუპირისპირა.

მსახიობმა ლ. ვაშაკიძემ ცეცილიას სახით გარეგნულად სათნო ქალიშვილი შექმნა. მისთვის მთავარია შრომისმოყვარეობა და ადამიანური ღირსებები, იგი უყოყმანოდ გმობს ლომპიანეს და თორნიკეს მხარეზე დგება, სწორი მოსაზრებების განხორციელებისათვის მზად არის მშობლების წინააღმდეგაც წავიდეს. ამავე დროს მას ჯანსაღი, ნათელი გონება აქვს და უნარი შესწევს საკუთარი მშობლების მოქმედებასაც გაუკეთოს ანალიზი.

მსახიობ ე. სვანიძის თორნიკე შრომისმოყვარე, მედგარ პროგრესისათვის მებრძოლი ახალგაზრდაა. თორნიკეს ძვალსა და რბილში ისე მაგრად აქვს გამჯდარი მოწინავე, კეთილშობილური იდეები, რომ მისი [illegible] გულიდან იგი, როგორც [illegible], ისე ამოთქვამს. როცა გაქნილებულ ლომპიანეს მისი გამოგონების მითვისება უნდა, გულწრფელი ახალგაზრდა პირველ რიგში თითქოს ვერ ხედავს მის განზრახვას. უფრო სწორად, მას ვერც წარმოუდგენია თუ ასეთი „დიდი წარსულის" კაცი ყოველივე ამას იკადრებს, მაგრამ შემდეგ, როცა ყველაფერი ნათელი ხდება, მას მრავალი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების გადალახვა უხდება, რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს.

მსახიობი ეკატერინე ლაგიანი ნიჭიერად გადმოსცემს ქეთევანს სულიერ განცდებს და მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს.

საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა კარგი თვისება გვიჩვენეს მსახიობებმა გ. კოკილაძემ (მოგელი) და ს. სახარულიძემ (ბახუტა).

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის კ. აბესაძის ბეჟანა ქვეყანამოვლილი კაცია. მას ბევრი რამ უნახავს, ბევრი რამ წაუკითხავს, მაგრამ სიზარმაცემ და მლიქვნელობამ ზეფორეს კალთას ამოაფარა. მართალია, მას ზეფორესა და ზეფორეს ირგვლივ მყოფი ადამიანების ქცევა არ მოსწონს, ზოგჯერ პროტესტსაც აცხადებს, მაგრამ ეს უფრო დეკლარაციულია, რადგან თავის ტყავს უფრთხილდება.

მსახიობმა ი. მიქიაშვილმა ქვისტორეთი ისეთი ანტისაზოგადოებრივი ტიპი შექმნა, რომელიც გაცვეთილი ფრაზებით, მოჩვენებითი ერთგულებით ბევრ დანაშაულს სჩადის და, რაც მთავარია, ქვეყნის სასარგებლო ადამიანებს ცილისწამებით პატიოსან შრომაში ხელს უშლის.

ვ. კაკაბაძეს პიესის ახალ ვარიანტში ორი ახალი პერსონაჟი შეუყვანია, რომლებიც ზეფორესა და ქვისტორეს ბნელი საქმეების მხილებაში ეხმარებიან: ქეთევანს ქმარი გვარამი (მსახიობი გ. ლასხიშვილი) და ფილიმონი (მსახიობი არ. მოროშკინი). მსახიობებმა ოსტატური, ბუნებრივი უშუალობით განახორციელეს ამ ადამიანთა სახეები.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი მესამე მოქმედება. როცა ამ დაპირისპირებულ ორ ბანაკს შორის ბრძოლის ყოველგვარი საშუალებები გამოიცადა და როგორც მოსალოდნელი იყო, მისმა წევრებმა მდაბალი თვისებები გამოიჩინეს, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და თავიანთი ბნელი საქმიანობა საზოგადოებრივი სამსახურის წინაშე გამოიტანეს. მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ფინალი ცოტა გაჭიანურებულია და ნაწილობრივი შეკვეცა მას კიდევ უფრო გაამძაფრებს.

„ცხოვრების ჯარა" ამის ნათელი დადასტურებაა, რომ როდესაც თეატრს იდეურად და მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები აქვს, დამდგმელსა და მსახიობებს საშუალება ეძლევათ შემოქმედებითად მიჰყვნენ ავტორის ჩანაფიქრს და შექმნან ცხოველმყოფელი, შთამბეჭდავი სპექტაკლი.

გივი მეფისაშვილი



სცენა სპექტაკლიდან „ცხოვრების ჯარა".

ფოტო მ. რონტაიშვილისა.

პეტეფის ლექსების თარგმანები

ასე ეწოდება გეორგიე რადოს საქმის ცოდნითა და ღრმა ერუდიციით გერმანულ ენაზე დაწერილ წერილს, რომელიც გამოქვეყნდა ბუდაპეშტის აკადემიის ლიტერატურული ნაშრომების კრებულში („კრონიკა", 1964, სექტემბერი).

ამ წერილის ავტორის ვინაობა ქართველი მკითხველისათვის ცნობილია; გეორგიე რადო დაინტერესებულია ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურით, კერძოდ, ქართული კულტურით. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა აღნიშნული წერილი, რომელშიც აღძრულია მეტად საინტერესო საკითხები.

წერილის შესავალში ავტორი ეხება საერთოდ თარგმანის უდიდეს მნიშვნელობას, სიამაყის გრძნობით იხსენიებს შანდორ პეტეფის ბედს მსოფლიო ლიტერატურის შემოქმედთა შორის და წერს, დღეს მისი ლექსები მრავალი ხალხის ენაზე სასკოლო წიგნებშია შეტანილი და ისწავლება.

შემდეგ წერილის ავტორი ამბობს, რომ ყველა ლიტერატურული თარგმანი გარკვეულ კომპრომისს გულისხმობს, მით უმეტეს თუ კი ის თარგმანის თარგმანია. ამის მიხედვით რადო იხილავს ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე გამოქვეყნებულ შანდორ პეტეფის ლექსების კრებულებს. პირველ რიგში, ქრონოლოგიის დაცვით, რადო მიმოიხილავს ქართულ თარგმანებს და შემდეგ წერს:

პირველი ტომი ქართულ ენაზე 1949 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" (თბილისი) გამოაქვეყნა. ცნობილმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ ქართულ ენაზე თარგმნა პეტეფის ოთხმოცდაცხრა ლექსი. მანვე დაწერა წიგნისათვის წინასიტყვაობა (პეტეფის ცხოვრება და მისი ნაწარმოებების შეფასება).

ჩვენ ეს წიგნი მხოლოდ ინფორმაციული მიზნებით მოვიხსენიეთ, ანალიზის გასაკეთებლად არ მოგვიხსენებია. ამ კრებულის თარგმანები (ყოველ შემთხვევაში რამდენიმე მათგანი) რუსულიდან არ არის ნათარგმნი. კერძოდ ქართულ წიგნში პეტეფის ხუთი ისეთი ლექსია მოთავსებული („ჩემი სოფელი", „ერთი ზამთარი დებრეცენში", „ჩემი ოცნებანი", „განაჩენი", „ჩემი მერანი" (პეგასი), რომლებიც იმ დროისათვის, როცა გრიგოლ აბაშიძე ამ კრებულზე მუშაობდა, არ იყო რუსულ ენაზე თარგმნილი. ცალკეული ლექსების ქართული დასათაურების მიხედვით ვფიქრობთ, რომ პოეტ გრიგოლ აბაშიძეს პირდაპირ უნგრულიდან ბწკარედი თარგმანი ჰქონდა და ამის საფუძველზე მუშაობდა; მაგალითად, ლექსების სათაურები: „შევსვით" და „მე მესიზმრება რომ" რუსულად სულ სხვაგვარად არის თარგმნილი, და ქართულად ბევრად უფრო ახლოს არის უნგრულ დედანთან, ვიდრე რუსული თარგმანები.

შემდეგ გეორგიე რადო ეხება სომხურ და აზერბაიჯანულ გამოცემებს. ნაშრომის მეტი ნაწილი ეძღვნება შანდორ პეტეფის იმ ლექსების განხილვას, რომლებიც ამიერკავკასიის ხალხთა ენებზეა თარგმნილი. შანდორ პეტეფის ცალკეული ლექსის თითოეული სტრიქონი, თითოეული ნიუანსი, თითოეული სახე ავტორის გარჩეული აქვს დიდი სიზუსტით. ჯერ იძლევა დედნის შესატყვის პროზულ ან პოეტურ თარგმანს, შემდეგ რუსულ თარგმანს იღებს და ამგვარად ადარებს ერთმანეთს. აქ ხელშესახებად ჩნდება თარგმანის სიზუსტე და დედნიდან გადახვევის შემთხვევები. რადოს ეჭვი არ ეპარება, რომ თარგმანის თარგმანში, ყველაფერი ადეკვატურად ვერ იქნება გადმოცემული, მაგრამ ის ფაქტი, რომ შანდორ პეტეფის ლექსები ამიერკავკასიის ხალხთა ენებზედაც ჟღერს, მას მეტად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია.

ნოდარ რუხაძე

ლიტერატურული საქართველო 2

სურათზე: ქუთაისი. ცენტრალური მოედანი.

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

ნუთუ არ გახსოვს

გიორგი სამხარაძე

მგოსნები დაშვრნენ ამა ტაძრის
ქებათა შესხმით,
მეც ხშირად აქ ვარ, აქ ვოცნებობ
და ვფიქრობ ამას:
ვინ იცის, იქნებ, სადაც გუშინ
დავადგი ფეხი,
აქ გაუვლია შოთასა და დიდებულ
თამარს.

ვინ იცის, იქნებ, აქ უმღერა
მიჯნურთ და ქართა
ციხედ ორწმუნა ხვამლის კლდეთა
შავი ჩურჩული,
და ავთანდილის გრძნეულ ხმაში
უცნაურად ჩარჩა
იმერთა ტკბილი, მოლივლივე,
ნაზი ურმული.

ბაგრატის მთაზე ძველისძველად
მოჩანს ტაძარი
და უჩინარი დრო კედლებზე
სურათებს აქსოვს.
ქვაო, დამზრალო, ბევრის მოწმევ,
სიტყვა დასძარი:
ქაბუკი შოთა აქ გაელილა
ნუთუ არ გახსოვს?!

იქნებ, ეძახდა, განცდით აღვსილს,
ლეჩხუმის ქედი
და გზას ფარავდა დილგმის ფრთები
ბნელი და ქუში,
იქნებ, რიონის დაბლობებში
დაჰქროდა გედი
და ლუნდლიანი ფრთა გაირჯო
კრაველის ქუდში.

ქვას რომ ახსოვს, მისი ტერფის
ტაატი თუ არა,
იქნებ, ეს ცაა მისი ცხელი
სუნთქვის დამტევი.
ან იქნებ, მგოსანს გულის სწორმა
უთხრა უარი
და უიმედოს წინ დაუდგა
ჯვრის მონასტერი!

რა საცოდავად მიცქერიან
თეთრი კედლები.
ირგვლივ ბობოქრობს დავიწყების
ნისლი და ხავსი...
კედლები სდუმან... ტაძრის ნაშთი
თვლემს გარინდებით,
ქვეყნად გუგუნებს შოთას სიტყვა
გრიგალთა მსგავსი.

ნაპირისაკენ

თეიმურაზ აბულაძე

თვალს ახამხამებს ცისფერი პორტი
და დიდი ლტოლვის სიცოცხლე
მიაქვს
მაღალ გემბანზე ტალღების პოტინს
და მთვარის თეთრი ჩრდილების
რიალს.

და შორს, ნაპირზე იღვიძებს დილა,
იქ ვიღაც მელის და ფიქრობს გემზე...
და თეთრი ღრუბლის ლუნდლუნა
ფთილა
წევს ნებიერად მის შიშველ მხრებზე.

იქ ვიღაც ჩემთვის ახარებს პალმებს
და კოინდარი ბიბინებს მწვანე...
და მე მივდივარ,
და მიმაქვს თანვე
ვება სივრცე და სავსე მთვარე.

დავით ხუროძე

* * *

საღამო სინათლეს ნელა მიდენის,
მზე ჩადის, მკრთალი მოცურავს
ბინდი,
ცაზე იზრდება ღრუბლის გიდელი,
თვალს და ხელშუა დღე მიდის,
მიდის...
და გული მწუხდება, დღე მიდის, მიდის,
სხვა რა დავკარგო საუნჯე დიდი...

თანამედროვეობის მხარდამხარ

ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრში, ქუთაისში ყოველთვის ჩქეფდა დიდი ლიტერატურული ცხოვრება.

ბესიკის, აკაკისა და გალაკტიონის ქალაქს მრავალი საქვეყნოდ ცნობილი შემოქმედი გაუზრდია, რომლებმაც შემდეგში დაუმშვენებიათ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება.

35 წელზე მეტია, რაც ქუთაისში მწერალთა ორგანიზაცია არსებობს. საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში გაერთიანებული მწერლები ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან და ქმნიან ჩვენი დიადი თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებს.

მწერალთა აქტივობას დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურულმა ალმანახმა „რიონმა", რომლის პირველი ნომერიც 1957 წელს, ქ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა. შემდეგ წლებში „რიონის" კიდევ 3 ნომერი მიიღო მკითხველმა (რედაქტორი ხ. ფხაკაძე). ლიტერატურულმა კრიტიკამ ხოტბათანადო შეფასება მისცა „რიონში" გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს.

ალმანახის გარშემო, არა თუ ქუთაისში მომუშავე მწერლები, არამედ ქუთაისის მახლობელ ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდა ლიტერატურული ძალებიც შემოიკრიბნენ. განყოფილებაში ცხოველი, შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა, მაგრამ 1961 წელს ალმანახის გამოცემა შეწყდა.

ქუთაისში დაიწერა პოემები, რომანები, პიესები. ეს ნაწარმოებები მკითხველებსა და მაყურებლებს მოეწონათ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის გამომცემლობები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ქუთაისში მომუშავე მწერალთა ნაწარმოებების გამოცემას.

მრავალფეროვანი შემოქმედია ანდრია სინაური. ეს სულით ჯანსაღი კაცი, რომელიც თითქმის 40 წელია, რაც სარეცელს არის მიჯაჭვული, ჭაბუკური ენერგიით განაგრძობს ლიტერატურულ მუშაობას. ქართველ მკითხველს ახლაც ახსოვს ა. სინაურის ოპტიმისტური ლექსი „იერიში", პოემა „საქუჯარი" და სხვ. ახლახან ა. სინაურმა დაამთავრა და ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრს წარუდგინა პიესა. მანვე დაასრულა ავტობიოგრაფიული ნოველების წიგნი.

ლექსების ხუთი წიგნი მიაწოდა მკითხველს პოეტმა გ. სამხარაძემ. მის ლექსებში მუდამ იგრძნობოდა და იგრძნობა თანამედროვეობის დიდი სუნთქვა.

ნაყოფიერად მუშაობს პოეტი არჩილ გურჯიძე. ყოველ ახალ წიგნში, ყოველ ახალ ლექსში მკითხველი გრძნობს მის ზრდასა და დაოსტატებას. ა. გურჯიძე ავტორია ბევრი საინტერესო ლექსისა და საბავშვო პოემისა.

პოეტი ქალის რუთა ბერიძის ლექსების კრებულს „პირველ ფრენას" სიხარულით შეხვდა მკითხველი საზოგადოება. რ. ბერიძემ თარგმნა და ქართველ მკითხველს გააცნო ჟიულ ლაფისის რომანი „ახალი ნაპირისაკენ", ლუ სინის მოთხრობები და სხვა. იგი ასევე ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში, მისი პიესები დაიდგა ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში.

ზურაბ კუხიანიძე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია. მან უკვე სამი წიგნი გამოსცა. სამივე კრებულს კარგი შეფასება მისცა კრიტიკამ. თოჯინების თეატრში წარმატებით იდგმება ზ. კუხიანიძის ორი პიესა — „შარახანი" და „ბიჭები ეძებენ განძეულს".

პოეტი დ. ხუროძე ემეტად ბავშვებისათვის წერს. მისი პირველი წიგნი „ოქროს ხელები" კარგი საჩუქარი იყო პატარა მკითხველთათვის. „ნაკადულმა" გამოსცა დ. ხუროძის საბავშვო ლექსების ახალი წიგნი „ილ[illegible] იები".

დომენტი ახობაძემ გამომცემლობას ჩააბარა ახალი ლექსების წიგნი. განყოფილებაში მოეწყო ამ წიგნის განხილვა. მწერალთა უმრავლესობამ კარგი შეფასება მისცა დ. ახობაძის ახალ ლექსებს.

ნაყოფიერად მუშაობს პოეტი ქალი ლილი ნუცუბიძე. იგი უკვე ლექსების კრებულის ავტორია. მან ახლახან გამოსცა და გამომცემლობას ჩააბარა ახალი წიგნი. თავიანთი ახალი ნაწარმოებებით მკითხველთა ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებენ შ. ტოგონიძე, შ. ნიჟარაძე, მ. კაკიტელაშვილი, ა. ჟორჟოლიანი და სხვ.

რამდენიმე საინტერესო პიესის ავტორია ლ. სანიკიძე. ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში განხორციელდა მისი „[illegible]", „მედეა" და „ქუთათურები" (ეს პიესა დაიდგა აგრეთვე თბილისის რუსთაველის სახელობისა და სხვა თეატრებში).

კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი" პირველად ქუთაისში განხორციელდა. იგი რომანის ავტორთან ერთად, ა. ვასაძემ გაასცენურა. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელად სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკ. ვასაძის მოსვლის შემდეგ საგრძნობლად გაღრმავდა და გაძლიერდა მწერლებისა და თეატრის შემოქმედებითი კავშირი. თეატრის რეჟისორის მხარდაჭერით წახალისებული მწერლები წერენ პიესებსა და იციან, რომ მესხიშვილის თეატრი, მისი ხელმძღვანელი ა. ვასაძე ყოველთვის გულთბილად შეხვდებიან მათ.

ერთგვარი აღმავლობა პროზაშიც იგრძნობა. ახლახან გამოვიდა ხ. ფხაკაძის მოთხრობების კრებული „გზა და გული". გულწრფელად დაწერილ მოთხრობებში მწერალი ასახავს ჩვენი ხალხის ახლო წარსულსა და დღევანდელ დღეს. ლიტერატურულმა კრიტიკამ კარგი შეფასება მისცა ხ. ფხაკაძის ამ წიგნს.

რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში დროდადრო იბეჭდება ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსების შ. ცანავას, მ. ჟორჟოლიანის, ჯ. ძიწენიძის, ს. მეტრეველის, ვ. გოგოლაძის და სხვათა ნაწარმოებები.

განყოფილებასთან არსებობს ახალგაზრდა მწერალთა სექცია, რომელსაც კრიტიკოსი ხ. არველაძე ხელმძღვანელობს. ამ სექციის წევრთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: ხ. აბულაძე, შ. გაგიშვილი, დ. თოთლიანი, ა. გვილავა, ტ. ჩარკვიანი, ქ. მამფორია, ჯ. ლეონჯილია, ხ. ნიჟარაძე, დ. ჰომერიძე და სხვ. ახალგაზრდა მწერლებს კვალიფიციურ ლექცია-მოხსენებებს უკითხავენ პროფ. ქ. მეძველია, დოცენტები მიხ. ალავიძე, დ. ბრეგვაძე, ო. გიორგაძე, მ. მახათაძე, დ. ჯანელიძე, კრიტიკოსები ხ. არველაძე, მ. ტუსკია, ვ. ქუთათელაძე, ქ. ხმალაძე და სხვ.

ხშირად ეწყობა მწერალთა შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, დისპუტები. მსხვილ საწარმოებში და პედაგოგიურ ინსტიტუტში შექმნილია ლიტერატურული წრეები. დროდადრო ეწყობა ამ წრეების წევრთა შეკრება, მათი ხელნაწერების კრიტიკა-განხილვა.

უნდა აღინიშნოს განყოფილებისადმი ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დიდი ყურადღება, აგრეთვე გაზეთების „ქუთაისისა" და „კუტაისსკაია პრავდას" რედაქციების მეგობრული დახმარება.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ქუთაისში მომუშავე მწერალთა შემოქმედებაში ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლოვანებება შეიმჩნევა. ზოგიერთი მწერლის ნაწარმოები პრიმიტიულია, მხატვრულად დაბალი დონისაა და ვერ უპასუხებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ ქუთაისში უფრო მეტად ჩქეფდეს ლიტერატურული ცხოვრება, აქ აღზრდილი ახალგაზრდა ლიტერატურული კადრები კვლავ რომ ემატებოდნენ მოწინავე ქართულ ლიტერატურას, საჭიროა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მეტი საქმიანი დახმარება აღმოუჩინოს განყოფილებას.

აუცილებლად უნდა აღსდგეს ლიტერატურული ალმანახი „რიონი". იგი წელიწადში ორჯერ მაინც უნდა გამოდიოდეს.

რესპუბლიკურმა საგამომცემლო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქუთაისში მომუშავე მწერალთა წიგნების გამოცემას. ჟურნალებმა „მნათობმა", „ცისკარმა", „დროშამ", გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ" მეტი ადგილი უნდა დაუთმონ ჩვენი მწერლების შემოქმედებას.

ამ დღეებში ქუთაისში ტარდება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა. ეს დიდი მოვლენა იქნება ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში. პრეზიდიუმის სხდომა ქუთაისში მომუშავე მწერლებთან ერთად დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ჩვენი განყოფილების მუშაობის შემდგომი აღმავლობის მიზნით.

ქუთაისში მომუშავე მწერლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთ ნაწარმოებებში ღირსეულად ასახონ ჩვენი თანამედროვეობა, ჩვენი ხალხის გმირული შრომა და ცხოვრება, დახატონ დღევანდელი მოწინავე ადამიანი, ამხილონ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი მანკიერება.

ქუთაისში მომუშავე მწერლებს კარგად ესმით თავიანთი დიდი მოვალეობა. პარტიის ერთგული თანაშემწეობა ყოველი საბჭოთა მწერლის უდიდესი ღირსებაა.

დავით კვიცარიძე,
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი.

შ ვ ი ლ ს

ზურაბ კუხიანიძე

შვილო, ავად გამხდი,
ცა, შუბლი გაქვს თონესავით მხურვალე.
უებარი წამლისთვის
მოვიარე სახელგანთქმულ
მკურნალებს.

შენდა დასაუფრებლად
მოკრძალებით შემოიღეს კარები
წამლიანმა შუშებმა,
მელნით დაწერილ თეთრი
წინსაფარებით.

მოწყალების დაც გაჩნდა,
ხელში ნემსით და თვალებში ალერსით,

შენ გგონია დაგმანთავს,
ნემსს შეჰყურებ, როგორც მახვილს
ალესილს.

ჯერ პატარას რა გესმის
ცხოვრებაში რა ტრიალებს, რა ხდება.
შენ გგონია ამ ნემსში
მოქცეულა მთელი ქვეყნის წამება.

[illegible] მიყვარ ტირილით,
შვილო, აგრემც გქონებოდეს დიდი
დღე,
ნურც გეცოდნოდეს ტკივილი,
ეს სიცოცხლე სიხარულად მიიღე!

ხართ ხალიბელთა შთამომავალნი

ქართული ავტომობილის მშენებელ ახალგაზრდობას.

არჩილ გურჯიძე

ხანდახან, როცა სულ მარტო ვრჩები,
ვრჩები საკუთარ ფიქრის ამარა, —
თვალწინ გამირბენს განვლილი წლები
და ვიხედები წლებში თამამად.

...გახრიოკებულ სოფლის კალთიდან,
მაღაროების შავ-შავ ხვრელებით
მე გავიარე ბევრი ქარ-ყინვა,
მეც დაკოჟრილი მქონდა ხელები.

ვიარე ასე
და არ მსურს კვეხნა
ჩემი ბილიკის აცისკროვნებით.
მე მხოლოდ ვხარობ, რადგან ამ
ქვეყნად
ვცხოვრობ სპეტაკი კაცის ცხოვრებით.

და თქვენ რომ გიცქერთ ახლა ბიჭებო,
ცა ჭოგონებო თვალ გიშრიანნო,
სულ სხვა ოცნებას ცაში ვეფრები,
სულ სხვა ოცნებას ბაღში ვშრიალობ.

თქვენ მზე აანთეთ,
სხვა მზე უცხელი...
თქვენი მიზნები ასე დიდია!..
როგორ გეხუმრე როცა გიცქერით,
როცა ხელებში ცეცხლი გინთია!...

დიდი შენება ღვივის აისში
და შიგ თქვენი ხმა ისე მქუხარებს, —
რომ მე მგონია, ჩემს ქუთაისში
ველარ ვიხილავ თქვენს ტოლ
უქნარებს.

დასცხეთ!..
თქვენს ნაჭედს უცდის მრავალი,
სწამთ,
ქუთათური
გასწევს, გაუძლებს...
თქვენ, ხალიბელთა შთამომავალნი,
სწერთ ისტორიის ახალ თავფურცელს.

ეწერით...
დიდ საქმეს არ უყვარს კვეხნა.
წლებში ისედაც აცისკროვნდებით.

თქვენ გაგიმარჯოთ,
რადგან ამ ქვეყნად
იღვწით და ცხოვრობთ ნამდვილ
ცხოვრებით!...

ნ ო ვ ე ლ ა

დ რ უ ჟ ე ლ ი

შალვა ცანავა

ისინი სულ სამნი უსხდნენ სუფრას. ორი მათგანი უკვე ჭაღარაშერეული იყო, ხოლო მესამეს ლოყებზე ახლად გასჩენოდა ღინღლი.

ჩემი მაგიდა მათ ახლოს იდგა. იმ წუთებში რესტორანშიც ცოტა ხალხი გახლდათ და კარგად მესმოდა ყველაფერი.

— ასეა, ძმაო. — ლაპარაკობდა მხარბეჭიანი, წარმოსადეგი კაცი და ჭიქას უვსებდა ახალგაზრდას, — ნამდვილ ადამიანებს სწყინთ თავიანთ ღირსებათა შეხსენება... მე მაინც მოგიყვები ამ ამბავს. ყმაწვილი ხარ. გამოგადგება.

მაშინ ნალჩიკში ვიყავით. წინა ხაზზე გასასვლელად ვემზადებოდით. ჩემი ათასეული მოტომექანიზებულ ნაწილს შეუერთეს. მალე ისევ ბრძოლაში უნდა ჩავბმულიყავით.

ერთ დღეს ნაწილის მეთაურმა, პოლკოვნიკმა რიაბოვმა მიხმო.

— საღამოს ბინაზე მესტუმრე. პატარა წვეულება მაქვს, — დამპატიჟა, უფრო კი მიბრძანა.

ნახევრადჩაბნელებულ დერეფანში ჯარისკაცი შემომეგება, შემიყვანა თამბაქოს ბოლით გაჟღენთილ ოთახში (ცოტა დაგვიანებით მოვხვდი მასთან, პირველი სადღეგრძელოები შესმული ჰქონდათ).

მასპინძელმა სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა.

რიაბოვს ოცამდე კაცი დაეპატიჟა, ჩინით ყველა ჩემზე უფროსი იყო. მხოლოდ ერთ მათგანს ეცვა სამოქალაქო ტანსაცმელი. ის მარჯვნივ მეოთხე თუ მეხუთე სკამზე იჯდა, დაბალი, სახე[illegible]; იმერელ [illegible] ჰგავდა გრძელი ულვაშებით, ნახევრად გამელოტებულ-გაბზინებული შუბლით. ყველანი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ.

„უთუოდ ჩვენებურია, — ვფიქრობდი ჩემთვის, — სამტრედიიდან ან ვანიდან იქნება"...

გვერდით ნაცნობი არავინ მეგულებოდა, თორემ ვკითხავდი იმ კაცის ვინაობას. თუმცა არც მაინტერესებდა. ბუნებით ვერ ვიტან გამორჩეულებს. თანაც სამხედრო ფორმა რომ სცმოდა, ჩვენსავით ტყვია-ცეცხლში გარეული რომ ყოფილიყო, იცოცხლე, გამახარებდა მისი იქ ყოფნა, მაგრამ მის ვარდისფერ ლაწვებს ომის სიმძიმისა არაფერი ეტყობოდა და, გული მეკუმშებოდა, მითუმეტეს რომ ის კაცი ქართველს ჰგავდა.

— აი ჩვენი შეკრების მიზეზი. გაუმარჯოს ამ ყვავილს! — გადმომაწოდა ცარიელ ბოთლზე აფარებული პატარა სურათი არტილერისტმა მაიორმა.

რიაბოვმა თვალი ჩამიკრა.

— ჩემი გოგონაა, დღეს შეუსრულდა შვიდი წელი. როგორც კი დავიფრენთ მტერს, ციმბირიდან კრასნოდარში დავაბრუნებ და, პირი სკოლაში! — და მე გულით ვადღეგრძელე ცხვირაპრეხა ბაფთიანი ქალიშვილი, რომელიც შავი, ლამაზი თვალებით მამამისის ასლი იყო.

პირველად, ჩვეულებისამებრ გამიჭირდა არყით სავსე ღვინის ჭიქის დაცლა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ თითქმის წყლად იქცა ეს უმაგრესი სასმელი. გვარიანად შევქეიფიანდი.

— როგორც დავთქვით, პირადი სადღეგრძელოები არ იქნება. გამონაკლისია მხოლოდ ჩვენი „წმინდანი". ერთხმად, ისევე, როგორც მას უყვარს, ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე, — თქვა მასპინძელმა.

„წმინდანს" იმ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს ეძახდნენ. იგი, დამცდარი, სახეგაბადრული აქნევდა თავს. არც ამდგარა, არც წამოწეულა ასადგომად, მაშინ, როცა ყველა პატივისცემით, ფეხზე ადგომით მიმართავდა.

ცხადია, ვიღაც გაპოყორჩებული, უთლელი კაცი იყო. დენთის სუნიც კი არ უყნოსავს. ვითომ რით, რას წარმოადგენსო?...

ვგრძნობდი, თანდათან მიმძიმდებოდა გული. სასმელმა [illegible] შემიპყრო.

— მიირთვით.

— რატომ არ სვამთ? — ჩამესმა აქეთ-იქიდან.

ანგარიშმიუცემლად მოვკიდე ჭიქას ხელი. როგორც ვიჯექი, ისევე გაუზრდელად დავიწყე [illegible]:

— ნება მომეცით, — ხმა, არაუშავს, კი მაქვს, პირდაპირ ვგრგვინავდი, — ნება მომეცით არ დავლიო [illegible] კაცის სადღეგრძელო, რომელსაც ამავე დროს, ეტყობა ზრდილობაც აკლია.

— კაპიტანო, ადექ! — შეშლილივით, არაადამიანურად დაიღრიალა მასპინძელმა.

მე წამოვდექი.

— წოდებით მაღლა მდგომი პირის შეურაცხყოფისათვის სასჯელი გეკუთვნით! — იყვირა პოლკოვნიკმა.

„წოდებით მაღლა მდგომი? მაშ ის სამხედროა?" — ამ მოულოდნელობამ სულ დამაბნია. ერთ წუთში ყველაფერი აირია ჩემს თვალში. სუფრასთან მსხდომნი ახმაურდნენ, შეუტიენ, მაგრამ მე, გონებადაფანტული, ბინდბუნდში ვხედავდი მათ.

— მეგობრებო. — „წმინდანი" ისევ იმ მდგომარეობაში იყო. მხოლოდ ახლა უფრო გულკეთილად იღიმებოდა. — კაპიტანი არ არის დამნაშავე. თქვენ არ გააცანით მას ჩემი თავი. — თქვა მან და შემდეგ მე მომიბრუნდა.

— მაპატიე, ბიჭო, ფეხები არა მაქვს, თორემ ავდგებოდი, — მითხრა ქართულად.

სწორედ იმ დროს მაწოდეს [illegible] მიუღებელი ყვავილები.

თავი დავხარე და მაპატიეთ მეთქი, წავიჩურჩულე.

პოლკოვნიკმა, არც შემომხედა, ისე ჩაიქნია ხელი. ეტყობოდა გაეცლო ცეცხლს.

— დაჯექი, დაჯექი. — ძალით დამსვეს სკამზე.

„წმინდანი" კვლავ მიღიმოდა.

— თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ, ამ წუთშივე დაივიწყეთ ეს მცირე უსიამოვნება...

— ამას მე უნდა გეუბნებოდეთ...

— არა, არა. თქვენ არა ხართ დამნაშავე. — ისევ და ისევ იმეორებდა ის.

ახლა უკვე ყველა მიყვებოდა მის თავგადასავალს. იმ ნაწილის შტაბის უფროსი ყოფილა, რომელსაც ჩემი ათასეული შეუერთეს. ბომბს მოუწყვეტია ფეხები. პროტეზი ჰქონდა, მაგრამ, ჯერჯერობით, სანამ შეეჩვეოდა, ყავარჯნებსაც ხმარობდა. ნალჩიკში გაუკეთეს ამპუტაცია. ის-ის იყო გამოეწერათ და შინ ბრუნდებოდა დემობილიზებული. რიაბოვმა ჩვეულებრივი, ჯარისკაცური გაცილება მოუწყო. ბავშვის დაბადების დღე მოიშველია, თორემ, რა თქმა უნდა, სხვა გზით ვერ დაიყოლიებდა, „წმინდანს" პირივით სძულდა ასეთი რამეები.

ღრმად ჩაფიქრებული „წმინდანი" კი ჩანგლის წვერით ნელა ჩიჩქნიდა შემწვარი ხორცის ნაჭერს. ოდნავ მზემოკიდებული, ჭაღარით შემოსილი მაღალი შუბლი მწვავე ნაღველს დაენისლა. მის თვალებსა და ქუთუთოებზე ღრუბელს ფართოდ გაეშალა ფრთები — დაასრულა თხრობა მხარბეჭიანმა, წარმოსადეგმა კაცმა.

იმ შორეულმა ღრუბელმა წუთიერად ჩემს თვალებსაც გადაკრა თავისი ფრთები.

პ ო ე ტ ი

რუთა ბერიძე

ჩემი სიცოცხლე ერთი ბეწოა —
ამ დიდი მიწის ერთი წინწკალი!
ვიცი, პოეტი მისთვის მეწოდა,
გული ცვარივით მქონდეს ცინცხალი.

და მინდა ბაღში, რომელსაც ვუვლი,
არ მოერიოს შამბი ყოჩივარდ,
ისე ჰყვაოდეს ჩემი მამული,
ერთხელაც ვერ შევხვდე ბედზე
მომჩივანს.

მინდა ვხედავდე ბაღჩაში ხეხილს
ვერ მოერიოს ვერასდროს ფითრი,
უფრო ნაკლებად დამჭირდეს ხერხი,
საკუთარ თავზე ზრუნვა და ფიქრი.

ლექსი დავწერო გულის კარნახით
და არა მხოლოდ მგოსნის პირობით,
პოეტისათვის არის პარნასი
პატიოსნება მისი პირადი.

ჩემი სიცოცხლის მცირე ცვარნამით
ადამიანებს შემწედ ვეწვევი,
თუ ვერ ვიტვირთე კაცის ვარამი,
წინ წყალი დამხვდეს, უკან მეწყერი!

საუბარი ბაგრატის ტაძრის კედლებთან

კოლაუ ნადირაძეს

დომენტი ახობაძე

ნაცნობს თუ უცნობს გაუხსენი გული ალალი
და წერილივით წააკითხე მწარე იარა.
და შეგიყვარე იმ ოსტატის შთამომავალი,
ვინც აღგაშენა და ჩუქურთმით აგაწკრიალა.

ეს სიყვარული დღემდე მოგყვა, ბევრჯერ დამწვარო.
ამ სიყვარულმა აგაშორა ცელი სიკვდილის.
და შენს კედლებთან უხმოდ ვდგავარ ახლა, ტაძარო,
მეც შემასწავლე როგორ უნდა დროსთან ჭიდილი...

აქედან ვხედავ: ხვამლს აანთებს მზე ცეცხლივით.
მერე ფერები ნოხებივით კლდეს ეკვრება...
ღამეს ჩაატყდა მკერდში სხივი ხმლის ელვივით, —
შენ მეტი ნახე, ვიცი, ეს არ გაგიკვირდება.

ღრუბლის ნამსხვრევს მოფარფატე ნახევებივით
ქონგურებიდან ბედლურების გროვა აფრინდა.
შევყურებ მათ და ერთსახელი ტერფამდე მივლის, —
სული მგონია წინაპართა, მარადის წმინდა!

...გამაგებინე, უკვდავ მამულს, უჭკნობელ მზისებრ,
რა ვუწილადო, რა ვუმღერო, რა განაცვალო.
დანგრევის შემდეგ რომ სიცოცხლე განაგრძე ისევ,
და მომავალმა აღმადგინოს, შენებრ, ტაძარო!

ანა ფრანკის დღიურზე მინაწერი

მიხეილ კაკიტელაშვილი

ებრაელთა გოდება, წუთისოფლის დარდი,
კანიბალთა ქუსლებით გასრესილი ვარდი.

ჩემი გულის ტკივილო, ჩემი სულის [illegible]
შენი დარდი აწუხებს ქვეყნად ყველა [illegible]

შფოთიანი ცხოვრების განვლე პატარა გზა...
უკვდავებამ სიკვდილის კარი გადარაზა;

ბავშვურ ხელით ნაქსოვი სტრიქონებით ცოცხლობს,
სტრიქონებით გვიჩაღებ სულში უქრობ კოცონს.

ქარი დღიურს გადაშლის, ვით სევდიან ნოტებს.
მოსაგონარს დაჰკრავს ჰარი ბელაფონტე.

კანიბალთა ქუსლებით გასრესილი ვარდო, —
ებრაელთა გოდებავ, წუთისოფლის დარდო..

დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ა?

შალვა ტოგონიძე

დიდი ტკივილი მწვავდება დღემდე,
ცათამბჯენებთან მქუხს შავი ლავა...
წერს ბიჩერ სტოუ ასი წლის შემდეგ
ტანჯული ზანგის თავგადასავალს.

თვალები სისხლით ისევ აუვსეს
ბიძია თომას, საბრალო ძიას

და საუკუნის დანაშაულზე
დუმს ტეხასელი მკვლელების ტყვია.

რისთვის გამეტეს ზანგი გოგონა?
ო, რა მტანჯველი სანახავია...
თვალით მზის სხივებს ველარ
შეჰყურებს,

დამნაშავეა,
რადგან შავია.

ზანგთან კანონი არის გულქვა,
მისთვის ნათელი დღეც კი ღამეა.
ის შავი კაცი თეთრ ქალს უცინის?
დამნაშავეა,
რადგან შავია.

ტირილიც, კვნესაც სიმღერად
უთქვამს,
მისთვის ვარდებიც არა ჰყვავიან,
ის [illegible], თეთრის ახლოს თუ
სუნთქავს,

დამნაშავეა,
რადგან შავია.

დორბლმორეული ბოდავს
ბროდვეი, —
ცეცხლი უქრება და იმუქრება...
ელოდებიან ზანგები...
ვის აქვს უფლება
გზა გადაუჭრას თავისუფლებას?

პატარა ხარო...

ნაირა ნიჟარაძე

მოგეწონდა შენთან რუსთაველი ჩვენი,
სანუკვარო და თან ენამწარო,
მეუბნებოდი ღიმილით, რჩევით —
ჯერ ვერ გაიგებ,
პატარა ხარო!..

[illegible] ერთად [illegible]
დარში,
და ტალღა იყო ცივი, ვით წყარო,
შენ მაფრთხილებდი, — მღელვარე
ზღვაში,
შორს არ გაცურო,
პატარა ხარო!..

მე ვოცნებობდი დიდ ქალაქებზე,
სადაც ცხელა და ზამთარშიც დარობს,
შენ კი ამბობდი, — იმ გიგანტ გემზე
დაიკარგები,
პატარა ხარო!..

მე მიხაროდა სიმღერა შენთან,
როდესაც სული ილხენს და ხარობს,
წამოგცდებოდა ღიმილთან ერთად —
ვერ იმღერ კარგად,
პატარა ხარო!..

რამდენი ფიქრი, რამდენი ფიქრი
და ოცნებები წაიღე ქარო!..
ახლა სადა ხარ, რომელ მთას იქით,
რატომ არ მეტყვი, —
პატარა ხარო?!

ლ ო ბ ე

სულხან აბდალაძე

მზე შენთებია ნაძვებს ალივით,
სხივებს იფენენ მთები უბეში,
ამ გზაზე ისე როგორ გავიელი,
თეთრ შენობას არ ვუთხრა ნუგეში.

სახლს დიდი ლობე ჰქონდა ყორეთი,
მე გულზე მესო როგორც ეკალი.
ბიჭს მაწამებდა მუდამ, ყოველთვის,
გადამეხედა შიგნით ნეტავი.

ამ კედლის იქით ბავშვურ ოცნებას
ეგულებოდა სულ სხვა ქვეყანა,
რაღაც ახალი გამოაცებდა —
ო, მასზე ფიქრმა წუხილს შემყარა.

მთვარე ღრუბლებში გადაკარგული
აპრილის სიზმრებს ურცხვად
მპარავდა...

გავიზარდე და ჩემი დარდივით
ეგ ლობე უცებ დაპატარავდა.

ვერა, ვერ ნახო სიამე ძილშიც,
ყოველ გაზაფხულს ამის მნახველმა:
თეთრი ლოგინი ალვების ჩრდილში,
და უყვავილებთან გოგო ახელებს.

როგორ გავუხდე მის გულს
მოფარებულად.
ამ გზაზე წლებმა როგორ დამღალეს—
ღმერთო, გამხადე ისევ მტკაველი,
ის ლობე დღესაც იყოს მაღალი.

თბილისისაკენ

ლილი ნუცუბიძე

მატარებელი ლიხის მთას გასცდა,
ჩემო თბილისო შენსკენ ვიჩქარი,
როგორ ამაღლდა ფიქრი და განცდა,
როგორ განათდა გულის ფიცარი.

ლიანდაგებში თავს იკლავს ხმა,
და განთიადი არც თუ შორს არის,
ზოგჯერ სარკმელთან მოირბენს
მთვარე
ლადოს ბრიალა ყაყაჩოსავით.

აგვიდევნებია ჩრდილები ხეთა,
ქარი ბორბლებში ხვნეშის და ტირის.
ახლა სულ მალე იქნება მცხეთა
და ვიგრძნობ მოჭრილ მარჯვენის
ტკივილს.

გაზაფხულია ახლა თბილისში,
თვალი მოფარდნილ ფერებს ვერ
იტევს,
შენსკენ რად ჩქარობს გული ვინ
იცის,
ან ასე ძლიერ რად მომენატრე.

ცას შვენის ლია ფერები,
სარკმელს მიაწყდა დიდი სინათლე
და საქართველოს ლურჯი ქედები
ფეხის წვერებზე წამოიმართნენ.

ისტორიული თარიღების აღსანიშნავად

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების კლუბში მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ". დ. კვიცარიძის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს პროფ. ქ. მეძველიამ, დოც. გ. სამხარაძემ და კრიტიკოსმა ხ. არველაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ხ. ფხაკაძემ, ა. გვილავამ, გ. ახვლედიანმა, ვ. ხაზურძანიამ.

„გამარჯობა, ჩემო ქალაქო"

მწერალთა კლუბში მოეწყო საჯარო განხილვა ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისა „გამარჯობა, ჩემო ქალაქო" (პიესა დ. კვიცარიძისა). პროფ. ქ. მეძველიას შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ვ. ქუთათელაძე. განხილვის მონაწილეებმა ა. ვასაძემ, მ. მახათაძემ, პ. ხმალაძემ, დ. ხუროძემ და სხვებმა ბევრი საინტერესო შენიშვნა გამოთქვეს სპექტაკლის ირგვლივ.

ახალი წიგნის განხილვა

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში მკითხველებისა და ახალგაზრდა მწერლების მონაწილეობით მოეწყო გრიგოლ აბაშიძის „სამი მოთხრობის" განხილვა. მოხსენება მწერლის ახალ პროზულ ნაწარმოებთა შესახებ წაიკითხა ხ. არველაძემ. სიტყვები წარმოთქვეს ა. გვილავამ, გ. ახვლედიანმა, ნ. ჯიორჯობიანმა, თ. ხმელიძემ, ნ. ბაბალიკაშვილმა.

ლიტერატურული საღამო სკოლა-ინტერნატში

ქალაქის პირველი სკოლა-ინტერნატის მოსწავლე-ახალგაზრდობას ეწვია მწერალთა ერთი ჯგუფი. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა გ. ბურჯანაძემ. მოხსენებით „ვ. ი. ლენინი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში" გამოვიდა გ. სამხარაძე. საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა დ. კვიცარიძემ, შ. ტოგონიძემ, დ. ხუროძემ, დ. ახობაძემ, მ. კაკიტელაშვილმა, ზ. კუხიანიძემ, ლ. ნუცუბიძემ, თ. აბულაძემ, ს. აბდალაძემ. დასასრულ მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი.

ამ გვერდში ვბეჭდავთ ქუთაისში მომუშავე მწერლების ნაწარმოებებს

მოღვაწე მართალი და პატიოსანი

იმ დღესაც გაზეთის რედაქციიდან გამოვიდა — გაღიმებული, თავის ფიქრებთან დამარტოებული. გვიან ღამემდე შერჩენოდა საწერ მაგიდას და იმ ღამეს დაწერილი სტატია რედაქციისათვის ჩაებარებინა. ხალხის ნაკადში მიაბიჯებდა შეუმჩნეველი და მორიდებული. მუდამ ოდნავ მოჭუტული თვალებით ივნისის მოკრიალე ცას შეხედა და ლენინის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა. ეს იყო მისი უკანასკნელი გზა. სიკვდილი სწორედ აქ, ნაზად მოშრიალე ჭადრების ხეივანში წამოეწია მოულოდნელად და ჩაჭრა მისი სამოცდაათწლიანი სიცოცხლის გზა.

ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, როცა, როგორც თეატრალურმა კრიტიკოსმა და მკვლევარმა, უხმაუროდ და მორიდებულად შემოაღო ჩვენი კულტურის კარი. მაშინ ჩვენმა საზოგადოებრიობამ მიიღო მეტად საინტერესო მონოგრაფია ნატო გაბუნიაზე და ამ წიგნმა ძალუმად გაიხმაურა. წიგნის ყდაზე ეწერა ავტორის გვარი და სახელი — ალექსანდრე ბურთიკაშვილი. ამ დღიდან ეს სახელი მყიდროდ დამკვიდრდა ჩვენი პრესის ფურცლებზე, ქართული წიგნის თაროზე.

ალ. ბურთიკაშვილი შემთხვევით არ მოსულა ამ გზასთან. 1910 წელს ჯერ ისევ მოწაფეობისას მოვიდა თეატრში. სცენას არ ჩამოსცილებია მოსკოვშიც, სადაც იგი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. შემდეგ, წლების მანძილზე, რეჟისორად და მსახიობად მუშაობდა თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბში და საგარეჯოს თეატრში. ალ. ბურთიკაშვილს ოცდაათზე მეტი როლი აქვს შესრულებული.

სამამულო ომის წინ იგი ჩვენს პრესას თეატრალური რეცენზიებით მოევლინა. მან პირველ წერილშივე გამოამჟღავნა თეატრალური ხელოვნების ღრმა პროფესიული ცოდნა და კრიტიკოსის მახვილი თვალი.

შარშან ჟურნალმა „ტეატრმა" ალ. ბურთიკაშვილის თეატრალური პორტრეტი გამოაქვეყნა და მას მხატვრული ნოველა შეარქვა, და ეს შემთხვევითი როდი იყო, — მისი პორტრეტები და მონოგრაფიები ნამდვილად მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება, ლაღად და შთამბეჭდავად.

ვკითხულობთ მის პორტრეტებს და თითქოს საკუთარი თვალით ვხედავთ ჩვენი თეატრის კორიფეებს, ვხედავთ მათს ღიმილსა და წარბის შეკვრას, მათს მიმოხვრასა და სულის ღელვას, ვისმენთ მათს ხმას. ასეთი მადლიანი სიტყვა ჰქონდა ალექსანდრე ბურთიკაშვილს, ასე შთამაგონებელი იყო მისი სიტყვა. ამიტომაც არის, რომ ა. ბურთიკაშვილის წიგნებს ერთნაირი გატაცებით კითხულობენ როგორც ხელოვნების მუშაკები, ისე მუშები, კოლმეურნეები, ჩვენი ახალგაზრდობა.

ქართული თეატრის ისტორიის დაკვირვებული მკვლევარი ალ. ბურთიკაშვილი განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდა უკანასკნელ წლებში. მან ზედიზედ გამოსცა საყურადღებო მონოგრაფიები. სულ ახლახან გამოვიდა მისი „რაინდი უშიშარი და გულმართალი". ვალერიან გუნიაზე დაწერილი ეს მონოგრაფია ერთგვარი მხატვრული ნოველების ციკლია, რომელიც მთელი მიმზიდველობით აცოცხლებს ჩვენი კულტურის ამ მართლაც უშიშარ და გულმართალ რაინდს.

არ შეიძლება წაიკითხო და არ მოიხიბლო „შალვა დადიანით", „გიორგი ერისთავ-იმხნელით", „ცეცხლის ჯადოქრით". არა გვგონია იყოს თანამედროვე ქართული თეატრის რომელიმე ცნობილი მოღვაწე, რომ მასზე ალ. ბურთიკაშვილს არ დაეწეროს პორტრეტი თუ წერილი. მისი სიკვდილის მეორე დღესაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები „სოფლის ცხოვრებასა" და „სახალხო განათლების" ფურცლებზე კითხულობდნენ ალ. ბურთიკაშვილის წერილებს.

„კაცი თავის ბედის მჭედელიაო", — ასე იწყება ერთი მათგანი, რომელიც სიკვდილის წინა საათებში დაიწერა. ალექსანდრე ბურთიკაშვილიც თავისი ნათელი ბედის გულმართალი მჭედელი იყო. ეს დაუზარელი და ხალისიანად ცოცხალი ადამიანი ერთნაირი სიყვარულით და შთაგონებით ჰქმნიდა პატარა რეცენზიებსაც და დიდ მონოგრაფიებსაც, კითხულობდა მოხსენებებსაც და მუშაობდა გაზეთების რედაქციებშიც.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ალ. ბურთიკაშვილმა დაწერა მოგონებების პირველი წიგნი, რომელსაც მალე იხილავს ჩვენი მკითხველი. მის საწერ მაგიდას შემორჩა მოგონებათა მეორე წიგნი და ამ დაუმთავრებელი სტრიქონების ავტორი თვითონ უკვე იქცა მოგონებად. და ეს ნათელი მოგონება მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, ქართული თეატრალური კულტურის ისტორიაში.

დ. ანთაძე, ვ. ანჯაფარიძე, შ. აფხაიძე, შ. გამყრელიძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ეგაძე, ა. ვასაძე, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ო. იოსელიანი, ე. მანჯგალაძე, დ. მჭედლიძე, დ. მელუხა, ნ. მშველიძე, ვ. ნინიძე, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, კ. რატიშვილი, პ. ფრანგიშვილი, ე. ქარელიშვილი, რ. ქორქია, დ. ჩხეიძე, ვ. წულუკიძე, ვ. ჭაბუკიანი, მ. ჭიაურელი, ა. ხორავა, მ. ხუხუნაიშვილი, თ. ჯანგულაშვილი, ნ. ჯაში.

შენიშვნები ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე

ქართულ-გერმანული ენების შესწავლით დაინტერესებულმა პირებმა, მთარგმნელებმა და საერთოდ ენის დარგში მომუშავეებმა მიიღეს ნ. ადამიას მიერ შედგენილი „ქართულ-გერმანული ლექსიკონი", რომელიც ამას წინათ „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა. ასეთი ლექსიკონი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გამოიცა.

ლექსიკონში თავმოყრილია ქართულ მხატვრულ, პოლიტიკურ, მეცნიერულ და ტექნიკურ ლიტერატურაში შედარებით ხშირად ხმარებული სიტყვები და ფრაზეოლოგიური საქცევები, რომელთა რიცხვი 22 ათასამდე აღწევს.

ამ სახის ლექსიკონთა შედგენისას მეტი სირთულე ქართული ზმნის ახსნაა. ვფიქრობთ, ავტორი სწორად მოიქცა, როცა ის უკვე გაკვალულ გზას დაადგა და ქართული ზმნის განმარტებისას ლექსიკურ ერთეულად ინფინიტივის (განუსაზღვრელი კილოს) ფორმა მიიჩნია, ხოლო პირისა და გვარის დასაზუსტებლად ფრჩხილებში ზმნის პირიანი ფორმები გამოიყენა. სიტყვის ახსნასთან ერთად მოცემულია აუცილებელი გრამატიკულ-ფონეტიკური დახასიათება, ხოლო როცა ორთოეპია არ ემთხვევა სიტყვის დაწერილობას, იგი ქართული ასოებით არის გადმოცემული. ქართული ზმნის სათავისო ქცევის განმარტებისას ავტორი მოხერხებულად იყენებს გერმანული ზმნის უკუქცევით ფორმას (ე. წ. რეფლექსურ ზმნებს), ვნებითი გვარის გადმოცემისას კი ვნებითის „ინფინიტივს". რაც შეეხება ქართული ზმნის კაუზატიურ ფორმებს, იგი გადმოცემულია ზმნების **lassen** და **zwingen**-ის საშუალებით, რაც სრულიად სწორი და მართებულია.

გულისყურითა და ყურადღებით არის დამუშავებული სიტყვათა დიდი უმეტესობა. მრავალი მათგანიდან საილუსტრაციოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: ექვსი გერმანული შესატყვისით განმარტებულია „ბილწის" სამგვარი გაგება (საზიზღარი, უწმაწური, გარყვნილი), „ათვისება" — ხუთი შესატყვისით, „ხელი" — ექვსი შესატყვისით და ა. შ. ყოველ საჭირო შემთხვევაში ხდება სათარგმნელი სიტყვის გამოყენების ილუსტრირება წინადადებებით, შესიტყვებებითა და ფრაზეოლოგიით, რაც ძირითადად მიგნებულად არის შერჩეული და კარგი ქართულით გამართული.

ლექსიკონს მიმზიდველს და საინტერესოს ხდის გამოსაყენებლად ხშირი მრავალი ანდაზა, ხატოვანი და ფრთიანი გამოთქმა და ფრაზეოლოგიური საქცევი. მას ღირსებას მატებს თანდართული გეოგრაფიული სახელწოდებები და ძლიერი, უწესო და შერეული უღლების ზმნების ცხრილი.

აღნიშნულ ღირსებებთან ერთად წიგნს მეტად სერიოზული ნაკლოვანებები აქვს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ყოველთვის ყურადღებით არ არჩევს ლექსიკონის ქართულ ნაწილს, სათარგმნელ სიტყვებს. ლექსიკონში არ შესულა აუცილებლად საჭირო სიტყვები: ახი, ამუშავება, ანაბარი, ბაგე, ბაცი, ბლუ, გაბრაზებული, გადამხმარი, გადანამთი, გადანერგვა, გამომძიებელი, დედაენა, დედ-მამა, სამამულო, საქორწილო, სიყვარული და მრავალი სხვა. წიგნი ნაწილობრივ გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ, მაგრამ აქ ამაოდ დაეძებთ ძებნას პოლიტექნიკური განათლებისათვის საჭირო ლექსიკას (ავზი, ატომი, ბაქანი, ბორბალი, ბრტყელტუჩა, გლინვა, გირაგი, მოხერი, მენევარა, მესხოელი, მღარავი, ქანჩი, ქაფჩა, ლარვა, ლითი, წრედი, ჰორონაჯი, მობრუნება, სალესი, საღეჩი, სარქველი, სახრახნისი და სხვა). თუმცა აქვე შევხვდებით ნაკლებადხმარებულ უცხოურ და ქართულ სიტყვებს აეროდინამიკა, აეროლოგია, აეროფოტოაპარატი, აეროხაზი, ავიატორი და სხვ. რომელთა ამოღებით ლექსიკონი არაფერს დაჰკარგავდა. ასეთ მცირე მოცულობის ლექსიკონში გამართლებულად არ მიგვაჩნია რელიგიური შინაარსის ლექსიკაც.

ლექსიკონში არც თუ იშვიათად შევხვდებით გაუმართავ ქართულ გამოთქმებს, რაც აზრს აბუნდოვანებს და ყურს ეხამუშება. ქართველი კაცი არ იტყვის: სამხედრო ნაერთი, საკრავი იარაღი, გული ეყარა, ახვევა (მარგილისა, კაბისა: ჯობდა: აკვალთვა, დაკეპწვა, დაკარწახება), დაბმალი შემოდგომა, ორდენით (მედლით) დასაჩუქრება, რკინის დაჭედვა, მაღალი დამაბოლობის დენი, საღვინე ადგილი (ღვინის სარდაფის მაგიერ), სათესად შერჩეული თესლი, სართავი ქარხანა, საინგარიშო (საინგარიშოს ნაცვლად), სახეობი იარაღი, ის ჩამოსხმული მამაა (ე. ი. ზედგამოჭრილი, პირწავარდნილი მამაა), ჩამოსაშვები კრანი (ჯერ ერთი, ის ჯერ ამწევია და ამიტომაც ჰქვია ამწე, მეორეც — კრანს ამწე ჰქვია), გამოსასვლელი დღე (ნაცვლად დასვენების დღისა), დიდი თითი (ნაცვლად ცერისა), ის ქარიანია (თავქარიანი), თავისთავზე ვალდებულების მიღება და სხვ.

ვფიქრობთ, აუცილებელი არ იყო ისეთი კუთხური სიტყვების შემოტანა, რომელთა შესატყვისი ლიტერატურულ ქართულ ენაში არსებობს: ბოლო, ბუკი (სუკის ნაცვლად), მაგი, წუნარა და სხვა.

ზემოთ აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ავტორი სიტყვის მნიშვნელობათა მეტად მართებულ დაზუსტებას მიმართავს. ზოგჯერ კი ეს დაზუსტება სრულიად ზედმეტია და უადგილო, რამდენადაც სიტყვას მხოლოდ ერთი გაგება აქვს. ზოგჯერ კი მცდარი და უმართებულოც: გუგა მხოლოდ თვალისა არსებობს, მაშასადამე, საჭირო აღარ იყო ასეთი დაზუსტება: გუგა (თვალისა), ანდა: მომჯობინება (ავადმყოფისა), თარჯიმანი (ზეპირი), ჭალა (მდინარისა), ჭაღარა (ცხენი). პანტა მხოლოდ არის „დაზუსტებული", ხოლო „გადაყვანის" დაზუსტებისას აშკარა შეუსაბამობაა: გადაყვანა — ანგარიშისა გადათვლა (?).

თარგმნით ლექსიკონებში, როგორც ცნობილია, წარმოებს ცალკეული სიტყვის ანდა ერთი აზრობრივი შინაარსის მქონე ერთეულის განმარტება. ამდენად, ვფიქრობთ, გაუმართლებელი ცალკე ლექსიკურ ერთეულებად გამოყოფილიყო: ქალაქის საბჭო, ქარის წისქვილი, ქების ფურცელი, ქვანახშირის (ქიმიური) მრეწველობა, შესაბმელი ცხენი, ჩახლეჩილი ხმა, ჩიბუხის ტარი, ციცაბო კლდე, კავების მრეწველობის სამინისტრო და სხვა.

ამგვარ ლექსიკონში სათარგმნელი სიტყვა მაშინ არის ზუსტად და ყოველმხრივ განმარტებული, როცა მეორე ენიდან მეტი სინონიმური შესატყვისი აქვს მისადაგებული. ლექსიკონში მრავლად შევხვდებით ისეთ ნაკლოვან განმარტებას, როცა სათარგმნელი სიტყვის ძირითადი შინაარსიც კი არ არის გახსნილი გერმანულ ენაზე. ალარაფერი ეტყვის სიტყვის მეორე რიგის, გადატანითი მნიშვნელობაზე, რომელიც ხშირად არიან ლირებულებისა. ამხედრება (ამხედრდა), როგორც ცნობილია, პირველ რიგში ცხენზე შეჯდომას ნიშნავს (მტერ. მხედარი), შემდეგ კი ვინმე წინააღმდეგ განწყობას. ლექსიკონში მისი ძირითადი მნიშვნელობის განმარტებას ვერ ნახავთ. „დადგმა" ახსნილია როგორც „ფეხზე გაჩერება, დაყენება", არაფერია ნათქვამი კარვის, სახლის, ფეხის დადგმაზე. დადგომა ახსნილია მხოლოდ როგორც ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა. აკლია: გაჩერება, სასტუმროში ჩამოხტომა, წლის დროებისა, სამუშაოზე, ფეხზე (სულ ცამეტამდე შესატყვისი). ასეთივე მდგომარეობაა: **დადება, დათანხმება, დაკავება, დაკლება, დაჯრა** და სხვა სიტყვების განმარტებისას, რაც სიტყვის შინაარსის ვიწრო წარმოდგენის გარდა, აზრის გაბუნდოვანებას იწვევს და ლექსიკონით სარგებლობის შესაძლებლობას მკვეთრად აქვეითებს. მაგალითად: **გული** ლექსიკონში განმარტებულია მხოლოდ როგორც ანატომიური ორგანო. **ბოლო** განმარტებულია როგორც დასასრული, დამთავრება, მაგრამ თევზის ან ფრინველის ბოლოს აქედან არც ერთი არ მიუდგება (საჭირო იყო არსებულ შესატყვისებს დამატებოდა: **Schwanz, Schweif**).

ავტორი ზოგჯერ ამჟღავნებს როგორც ქართული, ისე გერმანული სიტყვების შინაარსის უცოდინრობას, რის გამოც მრავალი სიტყვის მნიშვნელობა ერთმანეთშია არეული. ასე მაგალითად: **kalkulieren** [illegible] ლეგის გამოანგარიშებაა და არა აღრიცხვა, ანუ **angehen**-ის [illegible] ცერა არც ერთი არ არის. **zerstäuben** მტვრად ქცევას, აფრქვევს ან გაფანტვა-დაფანტვას ნიშნავს და არა მტვრის აწმენდას. ბოლო თარგმნილია **Ruß**-ად, რაც მურს, ჭვარტლს ნიშნავს. გადაფიქრება ახსნილია **sich überlegen**-ით, რაც მოფიქრებას, მოსაზრებას, აწონდაწონვას ნიშნავს და მოფიქრების ანტონიმური გაგება აქვს. ბეგარასთან არის გაიგივებული. **Montage** მანქანის აწყობაა და არა დანადგარი. პურის ცომის გასაღვივებელი საფუარი **(Sauerteig)** არეულია მაწვნის ლეგამში **(Sauermilchlab)**. მახარობელი, როგორც თვით სიტყვის სემანტიკა გვეუბნება, სასიხარულო ამბის მომტანია, მაუწყებელია, ამიტომ ეს იქნება არა უბრალოდ **Bote**, რაც ყოველგვარი ამბის მომტანს, შიკრიკს, მაცნეს ნიშნავს, არამედ **der fröhliche Bote**.

მემკვიდრეობა გაიგივებულია მემკვიდრეობითობასთან, თანამდებობა — პროფესიასთან, თვალისჩინი (იგივე თვალის სინათლე) ძვირფასი არსების მიმართ სიყვარულის გამომხატველიც არის და მხედველობის, ხედვის უნარის სინონიმადაც იხმარება. ავტორს ეს სიტყვა თვალის გუგასთან გაუიგივებია, ინდივიდუალური — ინდივიდუალისტურთან, ინტელიგენტი — ინტელიგენტურთან, კალიგრაფია — ხელწერასთან. აქ ნახავთ, რომ ხაჭო ე. ი. ყველიანი ყველიანად გადაქცეულა, სასრბო კი ხილეულ. ბრინჯაო და თითბერი ერთი და იგივე ლითონი არ არის და გერმანულ ენაზეც სხვადასხვა სახელი ჰქვიათ. ტყეზე მასალა არ ითქმის. პირუტყვს, ადამიანისა და ხის ტყავს გერმანულად ცალ-ცალკე შესატყვისი გააჩნია, ხოლო გამოყვანილ, დამუშავებულ ტყავს — სხვა. ამასთანავე, გამოყვანილი ტყავის მატერიად ე. ი. ქსოვილად მოჩვენება სწორი არ იქნება. დახუნძლულია ქედის განმარტება, აქ ვერ გაიგებთ შეძენა საქონლის, ადამიანის კისერზეა ლაპარაკი, თუ სერზე, მთაგრეხილზე.

ლექსიკონში სხვა ფაქტობრივ უმართებულობასაც ნახავთ.

ანჯამა ლიტერალურად არის ნათარგმნი, **Krug**-ის შესატყვისებია: დოქი, სურა, ხელადა, კულა, ლიტრა, სალვინე, კოკა, დერგი, გობანი, მაგრამ არა გვგონია, რომელიმე გაგებით „ყულაბა" მათი სინონიმი იყოს. გაოცებას იწვევს ბრუნებისა და უღლების ცნებათა აღრევა, რასაც ლექსიკონში ვხვდებით: ბრუნება ზმნისაა (!).

ლექსიკონში ხშირად შეინიშნება როგორც ქართული, ისე გერმანული ზმნისწინის როლისა და მნიშვნელობის უგულებელყოფა. ცნობილია, რომ ზმნისწინს დაკისრებული აქვს გზის, ორიენტაციისა და ასპექტის კატეგორიათა გამოხატვა, ამასთანავე მისი ძირითადი და პირვანდელი დანიშნულება მოქმედების მიმართულების აღნიშვნაა, რომლის დროსაც ქართული და გერმანული ზმნა არჩევს ზმნით გამოხატულ მოქმედებას მთქმელის თვალსაზრისით: იქითკენ ან აქეთკენ. **ამოსვლა** ნათარგმნია ასვლად, **ამოტანა** — მიტანად, **ამოყოფა** — ყოფად, **გადაფრენა** — ფრენად, **აცილება** (ზემოთ აყვანა) — გაცილებად და სხვ.

გერმანელები, როგორც ცნობილია, თავიდანვე ცდილობდნენ მათ ენაში შეჭრილი ყველა უცხო სიტყვისათვის საკუთარი ენის ფონდიდან სათანადო შესატყვისის მოძებნას ან ახლის შექმნას. ამიტომაც იყო, რომ ტელეფონს „შორით მოლაპარაკე" **(Fernsprecher)** მოუძებნეს, ტელევიზორს „შორით მხედველი" **(Fernseher)** და ა. შ. ლექსიკონში ხშირად ვერ ნახავთ ასეთი საერთაშორისო სიტყვების გერმანულ ადეკვატს, რაც გერმანიაში პირველ რიგში იხმარება. საჭირო იყო ლექსიკონში საერთაშორისო სიტყვებთან ერთად მათი მოცემაც.

აქ ნაჩვენები ყველა უმართებულობა მინიმუმამდე მაინც შემცირდებოდა, წიგნის რედაქტორები (თ. ქაჯაია და მ. ჯინჭარაძე) რომ პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

ოთარ ხუციშვილი

წიგნი ექიმთა გმირობაზე

ჩვენ ხშირად უსაფუძვლოდ ვმსჯელობთ ექიმთა „უძლურებასა" და შეცდომებზე. დასამალავი არ არის, ექიმს ყოველთვის როდი ვეპყრობით ისეთი ყურადღებით, რომელსაც იმსახურებს. ექიმებისაგან ყოველთვის ძალიან ბევრს მოვითხოვთ და მუდამ გვავიწყდება, რაც მათ გაუკეთებიათ კაცობრიობისათვის. მაგრამ ადამიანს აქვს მეხსიერება და მისი ადამიანური ვალია ახსოვდეს ყველა ღირსსახსოვარი მოვლენა, და მედიცინის ისტორიის ფოლიანტებში დამკვიდრებული სახელები გმირადქცეული მკურნალებისა.

მედიცინის ისტორია უაღრესად მდიდარია დრამატული მოვლენებით. სწორედ ზოგიერთი მათგანი აურჩევია და მკითხველთა ფართო მასების წინაშე გაუშლია პროფესორ ჰუგო გლაზერს, წიგნის — „დრამატული მედიცინის" ავტორს. ეს წიგნი ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა (თარგმანი გურამ ქველაძისა). მსგავსი ლიტერატურით არცერთი ქვეყნის მკითხველი არ არის განებივრებული და ამდენად დიდი უმრავლესობისათვის მოწმენდილ ცაზე ქუხილს მოჰგავს დაავადებებთან ბრძოლაში გარეგნულად მშვიდი პროფესიის ადამიანის — მკურნალის რაინდობა, კაცობრიობის ჯანმრთელობის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლის ზვარაკად მიტანა.

ამ საინტერესო წიგნში მკითხველი ეცნობა დაავადებისა და სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა ეროვნების მკურნალთა თავგანწირვას. აქ არიან გერმანელი მ. პეტენკოფერი და ვ. ფორსმანი, ფრანგი შ. ნიკოლი, ინგლისელი რ. როსი, ა. უაიტი, პ. მენსონი, ავსტრიელი ა. როხენფელდი, კუბელი კ. ფინლე და ა. აგრამონტე, იაპონელი ცოლ-ქმარი ხაგირო და რიკო იხარა, რუსი ი. მეჩნიკოვი, გ. მინხი, ო. მოჩუტკოვსკი, იტალიელი ჯ. ბატისტა გრასი, ჩეხი იან პურკინე და მრავალი სხვა.

წიგნის პირველ თავში აღწერილია მწვავე ინფექციურ სნეულებათა — ხოლერის, შავი ჭირის, ყვითელი ცხელების, პარტახტიანი ტიფისა და სხვადასხვა სნეულების გამომწვევ მიზეზთა წინააღმდეგ მებრძოლ ექიმთა მოღვაწეობა. მრავალმა მათგანმა შეგნებულად გასწირა თავი, რათა ნათელი მოეფინოს მიკრობების უხილავ შემოტევათა საიდუმლოებას. და თუ დღეს კაცობრიობა ასე თუ ისე თითქმის თავისუფალია ამ უსაშინელეს დაავადებათა ეპიდემიებისაგან, იგი იმ ექიმებს უნდა უმადლოდეს, რომელთა სიცოცხლის ფასადაც შესაძლებელი გახდა ამის მიღწევა.

შავი ჭირის (მას შავ სიკვდილსაც ეძახიან; წარმოიდგინეთ სიკვდილი და ისიც შავი!) გამომწვევი მიზეზისა და მიმდინარეობის შესწავლას, მის საწინააღმდეგო საშუალებათა ძიებას ეძღვნება სპეციალური თავი, რომელშიც აღწერილია ექიმმკვლევართა ყველაზე ტრაგიკული ბედი. ექიმებმა იცოდნენ შავი ჭირის დაუნდობლობა, მიუხედავად ამისა, ისინი სრულიად შეგნებულად იავადმყოფებდნენ თავს ამ სნეულებით, აწერდნენ საკუთარ დაკვირვებათა მოკლედ აღნუსხვას და გმირთა სიკვდილით ეცემოდნენ შავი ჭირის შავბნელ გზაზე, რათა ადამიანებს ნათელი მომავალი ჰქონოდათ. კაცობრიობა ვალდებულია ახსოვდეს ისინი, მათგან კი პირველ რიგში ინგლისელ ა. უაიტისა და ავსტრიელ ა. როხენფელდის სახელები.

ექიმთა მანტიებით მოსილი გენიალური ადამიანები გაბედულად შეიჭრნენ უცნობ სამყაროში და მომაკვდავის კრუნჩხვით შებოჭილი თითებით წაეპოტინენ სიკვდილის სადავეებს, ამავე ხელებით გადასცეს იგი მეცნიერებას, რომელმაც სნეულებათა უმეტესობა მსოფლიოს ავანსცენიდან გააძევა. ბრძოლა არ დასრულებულა, იგი მხოლოდ ძლიერდება.

ერთ-ერთი ინფექციური დაავადების — პარტახტიანი ტიფის ტრაგედიის მკაფიო სურათს გვაძლევს პირველი მსოფლიო ომის ისტორია. ამ დაავადებამ რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე მოსრა. მტერი პარპაშობდა, მილიონობით სიცოცხლეს თიბავდა, თავის სახეს კი საიდუმლო ბურუსში ჰმალავდა. სიტყვა ტიფუს ხომ ბურუსს ნიშნავს. დაავადების გავრცელების გზას იკვლევდა რუსი ექიმი ო. მოჩუტკოვსკი, რომელმაც თავის სხეულში ხუთჯერ შეიყვანა ტიფით ავადმყოფის სისხლი. ამ ცდებმა იგი კინაღამ იმსხვერპლა, მაგრამ საიდუმლოს ფარდა ვერ ახადა. მხოლოდ ფრანგმა ბაქტერიოლოგმა შარლ ნიკოლმა დაადგინა, რომ პარტახტიანი ტიფის გამავრცელებელი ტანსაცმლის ტილია. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ამ აღმოჩენისათვის ნიკოლს 1928 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

წიგნის სპეციალურ თავში განხილულია გაუტკივარების საკითხი. გაუტკივარება მედიცინის ისეთი ქვაკუთხედია, რომელმაც არნახული გასაქანი მისცა ქირურგიას და მის მოსაზღვრე მეცნიერებათა განვითარებას. მადლიერი კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს ვ. მორტონის, ჩ. ჯექსონის, ჯ. სიმპსონისა და ა. ბირის მარადსახსოვარ სახელებს.

დაინტერესებული მკითხველი ამ წიგნში გაეცნობა იმ ექიმთა მოღვაწეობას, რომლებიც ახალი სამკურნალო პრეპარატების მოქმედებას საკუთარ თავზე სცდიდნენ. ჩეხი ფიზიოლოგი იან პურკინე ამ მხრივ ტოლუპოვარია.

ფრანგმა ექიმმა და ზოოლოგმა ჟაკ პონტომ გადაწყვიტა ისეთი საშუალების აღმოჩენა, რომელსაც პროფილაქტიკური მნიშვნელობა ექნებოდა და გველის დაკბენის შედეგად მომაკვდავისაგან დაიცავდა ხალხს. მან აღმოაჩინა დამცველი აცრა. და აი, 1933 წლის 5 მაისს საკუთარ თავზე ცდის ჩატარების მიზნით დამცველი აცრა გაიკეთა და შემდეგ სამ შავ გველს დააკბენინა თავი. შემდეგში პონტომ აღწერა თავისი შეგრძნება, გველის კბილებით დაკბენის მომენტში. რომ განიცადა: „ასე მეგონა, თითქოს სიცხილით მჭრიან [illegible]". ჰუგო გლაზერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვინ იცის, იქნებ ამ სიტყვებით სწორედ თავისი მორალური მდგომარეობა აღწერა ცდის დროს, რომლის შედეგშიც დარწმუნებული არ იყო". ჭეშმარიტად, შეგნებული თავგანწირვაა.

გერმანელმა ექიმმა ვერნერ ფორსმანმა 1928 წელს საკუთარ თავზე გმირული ცდა ჩაატარა: მან იდაყვის ვენიდან გულის მარჯვენა ნახევრამდე შეიყვანა რეზინის კათეტერი. იმ დროისათვის ეს სასიკვდილო ექსპერიმენტად ითვლებოდა. ამ უბადლო ცდას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღევანდლისოდ გულ-სისხლძარღვთა დაავადების დიაგნოსტიკა და კარდიოქირურგია ესოდენ ამაღლდა (ამჟამად გულ-სისხლძარღვთა დაავადება მსოფლიოში № 1 დაავადებად ითვლება).

კოსმოსის დაპყრობის წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს ლ. ორბელს, დ. სიმონსს, კროსე-სპინელის და სიველს. ამ ორ უკანასკნელს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ ცდა. მათ აინტერესებდათ საკითხი: შეძლებს თუ არა ადამიანს კოსმოსში გაფრენა ჯანმრთელობის დაუზიანებლად; რა ძალუძს მედიცინასა და ტექნიკას, რათა ადამიანმა შეაღწიოს კოსმოსში და დედამიწაზე უვნებლად დაბრუნდეს? მათი ცდების გარეშე კოსმოსში ადამიანის გაფრენა შეუძლებელი იქნებოდა.

ერთი შენიშვნა. სასიკვდილო სნეულების გამომწვევი მიკრობთა შეგნებულად „ჩაყლაპვა" გმირობად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც ამის ჩამდენს შეგნებული აქვს მოსალოდნელი შედეგი და სწორედ ამ შედეგის დამტკიცება სურს. მაქს პეტენკოფერმა კი „გმირობა" სრულიად შეუგნებლად ჩაიდინა, ვინაიდან იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ხოლერით დასნებოვნებასა და მის გავრცელებაში მიკრობებს არავითარი როლი არ ენიჭებათ. იგი მტკიცედ იცავდა თავის მცდარ შეხედულებას ხოლერის ეპიდემიაში მიწისქვეშა წყლების სპეციფიკურ ნივთიერებათა როლის შესახებ. ამ იდეის დასამტკიცებლად მოახდინა ზემოაღნიშნული ცდა. რადგან „ბედად" იგი არ დაავადდა და ამდენად ქ. მიუნხენში (სადაც 73 წლის პეტენკოფერი მოღვაწეობდა) ეპიდემიამ არ „იფეთქა". ვერ დაეთანხმებით ავტორს, თითქოს გმირ ექიმთა კოჰორტის ცენტრში მ. პეტენკოფერი იდგეს, ვინაიდან ამ ცდის შედეგად მან დიდი ხნით გადასწია ჭეშმარიტების დადგენის თარიღი.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში ძალიან ძუნწად არის წარმოდგენილი გენიალური რუსი მეცნიერის ვლადიმერ ხავკინის მოღვაწეობა. ხავკინი კი ცნობილია, როგორც შავი ჭირისა და ხოლერის „პროფილაქტიკური აცრების მოციქული". მის სახელს დღესაც წმინდად ინახავს მრავალმილიონიანი ინდოეთი.

მთარგმნელის — გურამ ქველაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან „დრამატული მედიცინა" კარგი ქართულით გადმოიღო, გარდა ამისა, წიგნისთვის დაურთავს ზოგიერთი სპეციალური ტერმინის განმარტება, რაც მკითხველთა ფართო მასისათვის გასაგებს ხდის ამ საინტერესო ნაშრომს, რომელსაც ჭეშმარიტად ექიმთა გმირობის მატიანე უნდა დაერქვას.

ემილიან ქურდიანი

FRANCE URSS magazine

GEORGIE, TERRE DE LÉGENDE

AVRIL 1965 - N° 227 - Prix 2 F

Pirosman : un peintre mystérieux et naïf

საქართველო
ფრანგების თვალით

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს ესტუმრა ჟურნალ „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის" კორესპონდენტთა ჯგუფი. ფრანგი ჟურნალისტები გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას, დაათვალიერეს ღირსშესანიშნაობანი, ესტუმრნენ ქართული ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს.

ახლახან თბილისში ჩამოვიდა ამ ჟურნალის ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოზე დაწერილ წერილებს. ჟურნალის პირველ გვერდზე წარწერილია: „საქართველო — ლეგენდების ქვეყანა".

რენე კაპიტანი თავის „შთაბეჭდილებებში" აღწერს საქართველოში ჩამოსვლას, კავკასიონის თოვლიან პეიზაჟებს. შემდეგ მკითხველებს მოკლედ აცნობს საქართველოს ისტორიას, თბილისის მუზეუმებს და მათში დაცულ ექსპონატებს, ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ ცხოვრებას. წერილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედების განხილვას. ავტორი მოხიბლულია ქართველი მხატვრის ნამუშევრებით.

ჟურნალისტი ნიკოლ შატელი თავის წერილში წერს ს. წულაძის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსანზე". მთარგმნელს ახასიათებს როგორც დიდად მომზადებულ და განსწავლულ ადამიანს და ამბობს, რომ წულაძეს დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა ფრანგულ ენაზე. ამით მან კიდევ უფრო დაახლოვა ფრანგი და ქართველი ხალხები.

ჟილბერ ლარჟენი თავის წერილს უძღვნის ნიკო ფიროსმანს.

„ვინც საქართველოში ერთხელ ყოფილა, არ შეიძლება, რომ არ აღიძრას სურვილი მრავალჯერ ნახოს ეს ქვეყანა, ლეგენდების, სილამაზისა და სიყვარულის გრძნობათა აღმძვრელი ქვეყანა". — წერენ ფრანგი ჟურნალისტები.

მანანა ბობოხიძე

„ვისია, ვისი?"

თეატრალური სეზონის დახურვის წინა დღეებში კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი „ვისია, ვისი?" პიესის ავტორია ცნობილი ქართველი პროზაიკოსი ოთარ ჩხეიძე. სპექტაკლი დადგა ი. კაკულიამ, მხატვრულად გააფორმა — შ. ხუციშვილმა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. ჩორგოლაშვილმა.

როლებს ასრულებენ: ი. ტრიპოლსკი, ე. ყიფშიძე, ზ. გოცირელი და სხვები.

სურათზე: სპექტაკლის — „ვისია, ვისი?" — ერთ-ერთი სცენა.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

შეხვედრები ხელოვნების მუშაკთა სახლში

13 ივნისს, დილით ხელოვნების მუშაკთა სახლის წინ დიდი გამოცოცხლება იყო. აქ შეიკრიბნენ ქართლ-კახური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ყოფილი და ახალი წევრები. ისინი აქ ერთმანეთს შეხვდნენ და ანსამბლის არსებობის ორმოცდაათი წლისთავი იზეიმეს. ბევრი მათგანი დიდი ხნის შემდეგ ხვდება ერთმანეთს. ამიტომაც მათი სიმღერა „მოვდივართ, მოგვხარია" არაჩვეულებრივი ემოციითა და ტემპერამენტით იყო აღსავსე. მღეროდა ყველა, მღეროდა ამ ანსამბლის სულისჩამდგმელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ღვაწლმოსილი ლოტბარი ქალი მარო თარხნიშვილი, რომელიც გაღიმებული იდგა თავისი აღზრდილებით გარსშემორტყმული.

ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების სახლის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვიქტორ ნინიძემ. სიტყვები წარმოთქვეს და დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს ანსამბლის ყოფილმა წევრებმა თ. ჯანელიძემ, თ. კოტეტიშვილმა, თ. სანაკოევმა, ვ. არსენიშვილმა, ვ. ყიფიანმა. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პოეტი ი. ნონეშვილი.

ბოლოს მარო თარხნიშვილმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას ამ გულთბილი შეხვედრისათვის. ღვაწლმოსილი ქალი მხიარული ტაშით დააჯილდოვეს. გუნდმა შეასრულა სიმღერა „მამ გამარჯვება, ტკბილი სიცოცხლევ".

ნ. ჩაჩავა

დაბადების 60 წლისთავის გამო

გიორგი დარისპანაშვილი

მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის სცენის ოსტატთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი რესპუბლიკის სახალხო არტისტს გიორგი დარისპანაშვილს უჭირავს.

ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და გათვითცნობიერების საპატიო საქმეს გ. დარისპანაშვილი ოთხი ათეული წლის მანძილზე დიდი სიყვარულითა და დაუზარებლად ემსახურება, როგორც მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი.

პირველად სცენას იგი 1920 წელს ეზიარა. პურის ქარხნის სცენისმოყვარეთა სპექტაკლ „ყაჩაღ არსენაში" სომეხის ბიჭი განასახიერა. ამ წრის დაშლის შემდეგ კი ველაბრის მუშათა კლუბთან არსებულ ნახევრადპროფესიულ თეატრში დაიწყო მუშაობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მურამკოს ყოფილ თეატრში რუსული დრამატული წრე დაარსდა და ქართული სპექტაკლების მართვა გ. დარისპანაშვილს დაავალეს. აქ მან დადგა ა. წერეთლის „პატარა კახი", რომელშიც კახის როლი თვითონ შეასრულა.

მაკარონის ქარხანაში მისი ინიციატივით დრამწრე ჩამოყალიბდა. ეს დრამწრე ხშირად დგამდა საშეფო სპექტაკლებს თბილისის ახლო მდებარე სოფლებში.

1925 წელს მეტეხის ლეგიონის კლუბში დაიდგა მისი პირველი პიესა „სიყვარულმა რა ქნა".

1928 წელს გ. დარისპანაშვილი თბილისის მუშათა თეატრში ჩაირიცხა მსახიობად. ამ თეატრს ხელმძღვანელობდა მიხეილ ჭიაურელი. იქ მუშაობდნენ გამოჩენილი რეჟისორები: მ. ქორელი, შ. აღსაბაძე, დ. ანთაძე, გ. ჟავამშვილი და სხვ. ხშირად რეპეტიციებს კ. მარჯანიშვილიც ესწრებოდა და ეხმარებოდა მათ.

მალე გ. დარისპანაშვილი მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახლად ჩამოყალიბებული კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

მონდომებული, ნიჭიერი და ზედმიწევნით პატიოსანი ახალგაზრდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალ. თაყაიშვილმა ჯერ რეჟისორის თანაშემწედ დანიშნა, შემდეგ კი — რეჟისორად.

1930 წელს პირველმა დადგმამ (კ. ბუაჩიძის „აურიე რგოლი") დებიუტანტ რეჟისორს დიდი გამარჯვება მოუტანა. „ახალგაზრდა კომკავშირელმა რეჟისორმა გ. დარისპანაშვილმა დაამტკიცა, რომ ის უეჭველად ნიჭიერი რეჟისორია, რომელსაც

სპექტაკლის ოსტატურად დადგმის უნარი აქვს. „აურიე რგოლი" ავტორისა და თეატრის გამარჯვებაა — წერდა ერთ-ერთი რეცენზენტი.

1932-33 წლების სეზონში გ. დარისპანაშვილი დროებით ცხინვალში გაგზავნეს რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. აქ მან წარმატებით დადგა ს. შანშიაშვილის „ანზორი", რომელშიც მთავარ როლს თვითონ ასახიერებდა. აქვე დაიდგა მისი პიესა „ხიდქვეშ".

მომდევნო სეზონში გ. დარისპანაშვილი ქიათურის თეატრის ხელმძღვანელმა პ. ფრანგიშვილმა მსახიობად და რეჟისორად მიიწვია. ქიათურის თეატრში მის მიერ განსახიერებული როლებიდან დიდი წარმატება ხვდა შამილს (ი. ვაკელის ამავე სახელწოდების პიესაში) და იაგოს (შექსპირის „ოტელოში"). ამ სპექტაკლში მან ღირსეული პარტნიორობა გაუწია სცენის გამოჩენილ ოსტატს ა. იმედაშვილს.

1936 წელს გ. დარისპანაშვილი ისევ მოზარდ მაყურებელთა თეატრს დაუბრუნდა. ამ თეატრში გ. დარისპანაშვილმა მრავალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პაიავატა („პაიავატა"), დურმიშხანი („სურამის ციხე"), ლორენცო („რომეო და ჯულიეტა"), მედიუზკა („კიკვიძე"), არტემი („პავლე კორჩაგინი"), ძერჟინსკი („ნევის მფარველი") და სხვ.

ყველაზე დიდი გამარჯვება მსახიობს ლადო კეცხოველის როლის შესრულებამ მოუტანა. დაუღალავმა შრომამ და საქმის დიდმა სიყვარულმა მსახიობს შესაძლებლობა მისცა უშიშარი მებრძოლის, პროფესიონალი რევოლუციონერის ბრწყინვალე სცენური სახის შექმნა. იგი ასევე შთაგონებით ასრულებდა მრისხანე მეამბოხის, კეთილი და მხიარული კაზაკის ემილიან პუგაჩოვისა და სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი გმირის ბიძინა ჩოლოყაშვილის („[illegible]") როლებს.

„სცენაზე მგზნებარე და ქარიშხლიანი — ცხოვრებაში ჩუმი და თავმდაბალი". — ასე ახასიათებენ მას, და მართლაც გვხიბლავს ამ დაუღალავი შემოქმედის საოცარი თავმდაბლობა და მოკრძალებულობა, უბრალოება და გულითადობა.

დაბადების 60 წლისთავზე ვუსურვებთ საყვარელ მსახიობს კიდევ მრავალი წლის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ნ. ლაშხია

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"

გიორგი ყურაშვილი — სამშობლოს ერთგული შვილები. რედაქტორი — ვ. თორიძე, მხატვარი — ჯ. ყველაშვილი. გვ. 379, ფასი 77 კაპ.

მეჰმეთ ჰუსეინი — დილა. რომანი. წიგნი მეორე. თარგმანი თ. ხომერიკისა, რედაქტორი — ლ. ცოტაძე, მხატვარი — კ. ყარამშვილი. გვ. 315, ფასი 70 კაპ.



ვახტანგ გორგანელი — გზები და მწვერვალები. წიგნში შესულია ლექსები და ლირიკული პოემა „საიათნოვა". რედაქტორია ლ. ნანიტაშვილი, მხატვარი — ვ. ონიანი, გვ. 95, ფასი 17 კაპ.

მიხეილ ქვლივიძე — ლექსები. პოემა „მოგზაურები" და ესპანური მოტივები. რედაქტორი — ლ. ფოცხიშვილი, მხატვარი — ვ. ამაშუკელი, გვ. 126, ფასი 30 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

აკაკი გეწაძე — თეთრი გემები. ამ კრებულში შესულია პოეტის ახალი ლექსები. რედაქტორია მ. ქვლივიძე, მხატვარი — ნ. ლაფაჩი, გვ. 65, ფასი 9 კაპ.

„ნაკადული"

იური ტომინი — ჯადოქარი დიდ ქალაქში. (მოთხრობა, თარგმანი ვ. კოკილაშვილისა). რედაქტორი — ლ. [illegible], მხატვარი — ბ. კალიუჟნი, გვ. 214, ფასი 52 კაპ.

ნანი კილასონია — ჩემი თაიგულის ფრთები (ლექსები). რედაქტორი — ნ. ბეზარაშვილი, მხატვარი — ე. ამაშუკელი. გვ. 42, ფასი 6 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-54-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04781